



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო პროგრამის

მე-4 სემესტრის სტუდენტის

ნინო ჯულაყიძის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**სამეზობლო ემისიებიდან გამომდინარე მოთხოვნების ფარგლები და
სამართლებრივი საფუძვლები**

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი თამარ ზარანდია

ტელ: 599 399 041

ელ. ფოსტა ninajulakidze@gmail.com

თბილისი

2019 წელი

გამოყენებული აბრევიატურა..... 4

შესავალი..... 5

თავი I..... 7

საკუთრების უფლების კანონისმიერი ბოჭვა და მისი შეზღუდვის სამართლებრივი ფარგლები სამეზობლო ურთიერთობებში..... 7

 1.1 საკუთრების უფლების ზოგადი მიმოხილვა..... 7

 1.2 საკუთრების კანონისმიერი ბოჭვა 7

 1.3 თუ კი ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები..... 8

თავი II 10

სამეზობლო ემისიების განმარტება ქართულ სამართალში..... 10

 2.1 რა არის ემისია 10

 2.2 სამეზობლო თმენის ვალდებულებას დაქვემდებარებული ზემოქმედებები სასამართლო პრაქტიკაში..... 11

თავი III 14

ხმაურის სახეები და მისი ზღვრულად დასაშვები ფარგლები 14

 3.1 აკუსტიკური ხმაური 14

 3.2 ხმაურის ამკრძალავი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები 16

 3.3 მანქანების ხმაური როგორც დერეგულირებული საკითხი საკანონმდებლო სივრცეში..... 16

 3.4 სასამართლოს „ოქროს შუალედი“ ხმაურის აკრძალვასა და მენარმეობის თავისუფლებას შორის..... 17

თავი IV 19

დაუშვებელი ხელყოფა და საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა როგორც საკუთრების დაცვის პრევენციული მექანიზმი 19

თავი V 24

სამეზობლო საზღვრის დარღვევით გამოწვეული კომპენსაციის მიღების წესი და პირობები..... 24

თავი VI..... 26

აუცილებელი გზა როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმი 26

 6.1 სსკ 180-ე მუხლის რეგულირების სფერო 26

 6.2 მსგავსება და განსხვავება აუცილებელი გზასა და სერვიტუტს შორის..... 27

6.3 აუცილებელი გზის პარამეტრების განსაზღვრისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი	28
6.4 გერმანული სამართლის მიდგომა აუცილებელი გზის დადგენასთან მიმართებაში	29
6.5 სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები	30
თავი VII.....	33
ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა - ნეგატორული სარჩელი.....	33
7.1 სსკ -ს 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულირების სფერო	33
7.2 ნეგატორული სარჩელის ხანდაზმულობა	37
თავი VIII	39
გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ჰაერის დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი საკითხები.....	39
8.1 იმისიის მარეგულირებელი ძირითადი აქტები „შინ და გარეთ“	39
8.2 გარემოზე მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნების ადმინისტრაციულ- სამართლებრივი საფუძვლები	43
8.3 გარემოზე მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძვლები	44
8.4 „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	47
დასკვნა.....	49
ბიბლიოგრაფია	51

გამოყენებული აბრევიატურა

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ასკ - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ - სხვა

იხ. იხილეთ

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიულ მსოფლიოში საკუთრების უფლება საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც თავისი მნიშვნელოვნებით ადგილს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა გვერდით იკავებს. საზოგადოება ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება. საკუთრების უფლების ბუნება მართალია აბსოლუტურია, თუმცა მისი სარგებლობის საზღვრები კანონისმიერი ნორმებითაა შეზღუდული. სამეზობლო სამართალი სწორედ საზღვრების დამდგენი იმ წესების ერთობლიობაა, რომელიც მეზობლების ყოველდღიური ცხოვრების სიმშვიდისა და სრულფასოვანი თანაარსებობის შექმნის მიზანს ემსახურება.

ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპის განმაპირობებელი ფაქტორი მალაღი კონკურენცია და ბაზარზე პირველობის დამკვიდრების მძაფრი სურვილია. ახალი საწარმოების გახსნის პირობებში სახეზე გვაქვს გარკვეული ზემოქმედებების გარემოზე და ფიზიკურ პირებზე გავრცელება, რაც დაბალანსებას საჭიროებს. ერთ მხარეს დგას მწარმე სუბიექტი კერძო საკუთრებით და სამწარმეო თავისუფლებით აღჭურვილი, ხოლო მეორე მხარეს ფიზიკური პირი, რომელსაც ნივთით სარგებლობაში მისი ჩამორთმევის გარეშე ეშლება ხელი. ვიბრაცია, კვამლი საწარმოო ხმაური, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც ერთი მესაკუთრეს მეორის წინააღმდეგ გარკვეული მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნით განაწყობს. საკუთრების უფლებით თავისუფლად სარგებლობის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე დაპირისპირებული მხარეების ინტერესების დაბალანსება ისე უნდა მოხდეს რომ არ დაირღვეს ამ უფლების არსი.

თემის აქტუალობა: უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების არსებობის და განხორციელების პარალელურად ყოველთვის იდგება დღის წესრიგში საკითხი, ხომ არ ირღვევა და ილახება ასეთი სარგებლობით სხვა პირთა უფლებები. სამეზობლო სამართლის მონესრიგების სფერო არ ვრცელდება მხოლოდ უშუალოდ მომიჯნავე ნაკვეთზე, მისი წრე უფრო ვრცელია და ყველა იმ ნაკვეთიდან მომავალ ზემოქმედებებს ეხება, რაც ობიექტური თვალისთვის აღქმადია. მნიშვნელოვანია გაირკვეს სად გადის ზღვარი ემისიის თმენასა და მისი აკრძალვის მოთხოვნას შორის, კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე დადგინდეს რა სამართლებრივი ბერკეტი გააჩნია მესაკუთრეს რათა დაიცვას საკუთრება გარეშე პირების ხელყოფისგან.

კვლევი მიზანი:

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმ საკითხების გამოკვეთა, რომელიც პრობლემურია როგორც პრაქტიკული, ასევე საკანონმდებლო თვალსაზრისით. ხმაური როგორც სამეზობლო ემისიის ერთ-ერთი სახე ბოლო პერიოდის საკანონმდებლო

ცვლილებებით გარკვეულწილად მოექცა რეგულირების ჩარჩოში, თუმცა მანქანების ნაწილში კვლავ დერეგულირებულია. მოქმედი რეგულაციებით ხედზე უფლება, როგორც უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი სამშენებლო ბაზრის სწრაფი განვითარების პირისპირ დაუცველია. სამეზობლო ემისიებისა და იმისიების გახილვა სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან გადანაცვლებებზე დაყრდნობით გამოკვეთს იმ სამართლებრივი საფუძვლებს, რაც მესაკუთრეს დაეხმარება გაიგოს რა ზემოქმედებაზე აქვს სამეზობლო ურთიერთობის ფარგლებში თმენის ვალდებულება და როდის შეუძლია გამოიყენოს სასამართლოსადმი მიმართვით ხელშეშლის აღკვეთის უფლება.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება რვა თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი დაეთმობა საკუთრების უფლებისა და მისი მბოჭავი სამართლებრივი ნორმების განხილვას. მეორე თავში სამეზობლო ემისიების ზოგად მიმოხილვასთან ერთად დაწვრილებით იქნება საუბარი თმენისა და ურთიერპატივისცემის მოვალეობაზე. მესამე თავი დაეთმობა ხმაურის თემატიკას, რომელიც სხვა ემისიებისგან განსხვავებით საკითხის მოცულობითობის გათვალისწინებით ცალკეა გამოყოფილი. მეოთხე თავი აერთიანებს დაუშვებელ ხელყოფასა და საფრთხის აღკვეთის მოთხოვნას, როგორც საკუთრების უფლების დაცვის ორ პრევენციულ მექანიზმს. მეხუთე თავით განხილულია მშენებლობის დროს სამეზობლო საზღვრის დარღვევა და კომპენსაციის მიღების პირობები. მეექვსე თავის მიზანია აუცილებელი გზის დადგენის საჭიროების განხილვა. მეშვიდე თავში სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი გადანაცვლებების განხილვით ახსნილი იქნება ნეგატორული სარჩელის წარდგენისას სასამართლომ რა შემთხვევაში ჩათვალა საკუთრების უფლება ხელყოფილად და როდის დაუქვემდებარა ზემოქმედება თმენის ვალდებულებას. მერვე თავი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლისა და საჯარო სამართლის ერთგვარ თანაკვეთას, მეზობელი ნაკვეთიდან მომავალი იმისიების რეგულირება განხილული იქნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულაციებით, საჯარო და კერძო სფეროს მარეგულირებელ ნორმებზე დაყრდნობით.

თავი I

საკუთრების უფლების კანონისმიერი ბოჭვა და მისი შეზღუდვის სამართლებრივი ფარგლები სამეზობლო ურთიერთობებში

1.1 საკუთრების უფლების ზოგადი მიმოხილვა

საკუთრება პირის ნივთთან ურთიერთობაა.¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას, ამავდროულად იგი პოზიტიურადაა ვალდებული შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის.² საკუთრების უფლება აბსოლიტურ უფლებას წარმოადგენს და მისი ბუნება ექსკლუზიურია. საკუთრების ექსკლუზიურობა პირს აძლევს ძალაუფლებას დაუპირისპირდეს სხვა ნებისმიერი პირის ჩარევას,³ რომელიც მისი ნების საწინააღმდეგოა და მოსთხოვოს ხელმყოფს ასეთი ჩარევის აკრძალვა. ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელია იმ მოძრავი თუ უძრავი ნივთების გარეშე, რომელიც ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების შექმნაში ეხმარება. საკუთრების უფლების არსია გეკუთვნოდეს ნივთი, გამოიყენო თავისუფლად, პირადი სურვილისამებრ ისე, რომ ამ სარგებლობით სხვას არ მიაყენო ზიანი.

1.2 საკუთრების კანონისმიერი ბოჭვა

მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელმწიფოებრივ შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით) არ დაუმუშავს სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული დანაწესით სსკ 170-ე მუხლი განმარტავს საკუთრების ცნებას და შინაარსს, რომლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ნივთებსა (148) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან მიმართებაში (152).⁴ საკუთრების უფლება მართალია აბსოლიტური უფლებაა და ყველა

¹ ზოიძე ბ. ქართული საწიგნო სამართალი, თბილისი, 2003, 82

² საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, „საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ თბილისი, 2013, 205

³ თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 2018, 75

⁴ იქვე 74

ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებას, თუმცა მისი „ხელშეუვალობა“ იქ მთავრდება, სადაც სარგებლობით ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირების უფლებები ან მის ბოროტად გამოყენებას აქვს ადგილი. სამეზობლო სამართალი საკუთრების უფლების შემზღვევი სამართალია. სამეზობლო თმენის კანონით დადგენილი ვალდებულების გამოხატულებაა, როცა ერთ ნაკვეთს მისი მესაკუთრის სურვილის მიუხედავად, ევალება მეორე ნაკვეთის სამსახურში ჩადგეს (აუცილებელი გზა) ან/და მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე სასაზღვრო მიჯნის დარღვევით ითმინოს შემოჭრილი შენობა.

აუცილებელია საკუთრება ისე იქნეს გამოყენებული რომ არ იკვეთებოდეს მესაკუთრის მიზანი ამ სარგებლობით მხოლოდ სხვებს მიაღვეთ ზიანი. უფლების ბოროტად გამოყენების საეჭვოობისას მესაკუთრემ უნდა ამტკიცოს, რომ მას ასეთი განზრახვა არ გააჩნია და მოქმედების აუცილებლობა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებითაა გამართლებული. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება თუ მეზობლის ხის ფესვები და ტოტები მესაკუთრეს ზიანს არ აყენებს, მაგრამ იგი მხოლოდ მეზობლისთვის ზიანის მიყენების მიზნით მოჭრის მას.⁵ თუ ამავე მაგალითში შევცვლით იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ხის ფესვები საფრთხეს შეუქმნის სახლის საძირკველს და მის მდგრადობას ემუქრება, ფესვების მოჭრა ვეღარ ჩაითვლება უფლების ბოროტად გამოყენებად და ობიექტურად იქნება გამართლებული.

მეზობელთა ურთიერთპატივისცემის მოვალეობა თამამად შეიძლება ჩაითვალოს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის ერთ-ერთ საფუძვლად. „მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეები ვალდებული არიან: ა) დაიცვან კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები; ბ) პატივი სცენ ერთმანეთს. ჩამოთვლილთაგან პირველი ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს და მის დარღვევად შეიძლება ყოველთვის მივიჩნიოთ მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული აკრძალვები, რაც შეეხება მეორე ელემენტს, ის შეფასების საგანს წარმოადგენს და საქმის გარემოებების გათვალისწინებით იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს“⁶ კანონით დადგენილი წესის და აკრძალვების დარღვევის მაგალითია აკუსტიკური ხმაურის შემთხვევა, როცა მისი ზღვრულად დაშვებული ნორმის გადაჭარბებით ირღვევა ხმაურის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ხოლო ურთიერთპატივისცემის მოვალეობა გამოიხატება ღამის საათებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისგან თავის შეკავებაში, რათა მეზობლებს მიეცეთ მშვიდად ძილის საშუალება.

1.3 თუ კი ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები

⁵ ზარანდია თ. სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2019, 272

⁶ სუსგ # ას-122-116-2014 2015 წლის 25 მაისი

საკუთრების უფლების აბსოლიტურობა გულისხმობს ნებისმიერი პირის უფლებას ისარგებლოს მისი ქონებით ისე, რომ ამით არ შეილახოს სხვათა უფლებები. სწორედ სხვის უფლებაში შეჭრა წარმოადგენს ერთგვარ საზღვარს, სადაც იწყება მესაკუთრის ვალდებულება თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებების განხორციელებისაგან. ის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს უფლების შელახვად კონკრეტულ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობითაა შესაფასებელი.

სსკ 115-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლებები უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მართო იმ მიზნით რომ სხვებს მიაღვეთ ზიანი. „უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის რომ სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესი. სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, აღნიშნული უფლების დანიშნულების შესაბამისად. უფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე არა მხოლოდ ეყრდნობა თავის უფლებებს არამედ სცილდება მის ფარგლებს და ამ დროს იგი განიხილება როგორც სამართალდარღვევა. სამართალდარღვევის ქმედება ფორმალურად ეყრდნობა მის უფლებებს. მხოლოდ აღნიშნული უფლების რეალიზაციის შემდეგ სცილდება დადგენილ ფარგლებს რის შედეგადაც ირღვევა მესამე პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები და საბოლოოდ გამოდის საკუთარი უფლებების გამოყენება იქცევა სამართალდარღვევად“⁷

⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/22132-17 2018 წლის 19 ივნისი

თავი II

სამეზობლო ემისიების განმარტება ქართულ სამართალში

2.1 რა არის ემისია

სამეზობლო ემისია ესაა ყველა ის მოქმედება, რომელიც ერთი მიწის ნაკვეთიდან მეორე მიწის ნაკვეთზე შეიძლება გავრცელდეს. ასეთი მოქმედებები იყოფა არსებითი ან არაარსებითი ხასიათის ზემოქმედებებად. არაარსებითი ემისიის გავრცელება გამორიცხავს მესაკუთრის უფლებას მოსთხოვოს გამავრცელებელს ასეთი ზემოქმედების შეწყვეტა, არსებითის შემთხვევაში კი დასადაგენია, ხომ არ ექვემდებარება სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე თმენის ვალდებულებას და შეუძლია თუ არა ასეთი თმენისთვის გარკვეული კომპენსაციის მიღება. ემისიის გავრცელება ყოველდღური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „მეზობელ მიწის ნაკვეთზე „ზემოქმედება“ ნიშნავს პოზიტიურად ზემოქმედებას, რომლის მგრძნობელობითი აღქმა და ფიზიკურად დადგენა შესაძლებელია. თუ რამდენად არის ზემოქმედება მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო და სახეზეა თუ არა მესაკუთრის მიწის ნაკვეთით სარგებლობის ხელყოფა, განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რამდენად მისაღებია საშუალო ადამიანისთვის ფაქტობრივი ზემოქმედების სიძლიერე და ხანგრძლივობა, ასევე მიწის მესაკუთრეთა ცხოვრებისეული ჩვეულებები“⁸

სსკ 175-ე მუხლში არსებული ემისიათა ჩამონათვალი არასრულია, გაზის, სუნის, ორთქლის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების დასასრულს იკითხება „და სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი“ რაც ემისიათა წრეს აფართოვებს. ემისიები შეიძლება დაჯგუფდეს იდეალურ და ნეგატიური სახის ემისიებად. „იდეალური ემისია ეწოდება საკუთრების უფლების ისეთ ხელშეშლას, როდესაც ირღვევა მესაკუთრის მორალური ან ესთეტიკური შეგრძნება, ხოლო ნეგატიური ემისია ეწოდება სინათლის, მზის შუქის, ჰაერის არასაკმარისი რაოდენობით მოქმედებას მიწის ნაკვეთზე“⁹. იდეალური ემისიის აღქმა ცალსახად სუბიექტურია და პიროვნების გემოვნებაზე, სუბიექტურ შეხედულებებზეა დამყარებული. „გაბატონებული შეხედულებების თანახმად სსკ-ს 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ იცავს საკუთრებას იდეალურ ემისიების

⁸ თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 2018, 94

⁹ იქვე 86

შემთხვევაში, რადგან თუ პირი სხვის საკუთრებას უგემოვნოდ ან არაესთეტიკურად აფასებს მისი გემოვნება ვერ გახდება სამართლებრივი შეფასების საკითხი¹⁰

საზოგადოება მოქმედებაშია, ადამიანებს აქვთ მიზნები, რომლის შესრულებაც შეიძლება გულისხმობდეს სხვა პირთა საკუთრებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენის აუცილებლობას. სააგარაკე ნაკვეთზე სახლის აშენება დისკომფორტს უქმნის მეზობლად მცხოვრებ დამსვენებლებს. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა თავის მხრივ გულისხმობს მაღალი გამავლობის მანქანების გზაზე მოძრაობას, მასალების გადაზიდვისას ხმაურის, სუნის და გამონახობლქვის გამოყოფას. შესაბამისი ნებართვის არსებობის პირობებში მიმდინარე სახლის მშენებლობიდან მომავალი ზემოქმედებანი არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით ემისიად, სამშენებლო სამუშაოები არაა დაუსრულებელი პროცესი, ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდება და მეზობლებს ურთიერთპატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით თმენის ვალდებულება ეკისრებათ.

როგორც უკვე აღინიშნა ნეგატიური ემისიის განმარტებაში იკითხება სინათლის, მზის, ჰაერის, შუქის არასაკმარისი რაოდენობით მოქმედება მიწის ნაკვეთზე. სამშენებლო სამართალში მიწის ნაკვეთისთვის არქიტექტურული პროექტის მომზადებისას განათება/ინსოლაციის საკითხი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. დღეს მოქმედი არქიტექტურული ნორმები არ ითვალისწინებს შენობების შიგნით განათების საკითხს შესაბამისად ნებართვის გამცემი ვერ ამონხმებს შესათანხმებელ პროექტს ამ კუთხით. შედეგად უპაერობა როგორც ნეგატიური ემისიის ერთ-ერთი სახე რეგულაციების არ არსებობის გამო გაუკონტროლებელი რჩება. განათება/ინსოლაციისთვის ნაკისრი ტვირთი ყველა ფანჯარაში შეაღწიოს მზის სხივმა დღეს მოქმედი სხივის განსაზღვრის სპეციალურმა წესმა იტვირთა. თუ ასამენებელ ობიექტზე სწორადაა სხივი განსაზღვრული და მაინც არ აღწევს, ეს ზიანის ანზღაურების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებაა, რადგან სახეზე ვერ გვექნება დელიქტური სამართლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტი მართლწინააღმდეგობა.

2.2 სამეზობლო თმენის ვალდებულებას დაქვემდებარებული ზემოქმედებები სასამართლო პრაქტიკაში

სსკ 175-ე მუხლის მიხედვით სამეზობლო სამართლით გათვალისწინებული თმენის ვალდებულების ფარგლებში მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გავრცელებული გაზის ორთქლის სუნის ჭვარტლის კვამლის ხმაურის სითბოს რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი. კანონმდებელი ვერ განსაზღვრავდა ემისიათა ზუსტ ჩამონათვალს, რადგან

¹⁰ იქვე 86

ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპი ახალი ზემოქმედებების წარმოშობას არ გამოირიცხავს და ამდენად „სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი“ ჩანაწერის გაკეთებით ემისიათა ჯგუფს სხვა ზემოქმედებანიც შეიძლება მიემატოს. თმენის ვალდებულებაში ექცევა არსებითი ზემოქმედების შემთხვევაც, როცა ნაკვეთით სარგებლობა არის ჩვეულებრივი და ნორმალურ სამეურნეო ფარგლების ჩარჩოს არ სცდება.

სამეზობლო სამართალი ერთნაირად ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე. ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უნდა იქნეს დაცული მეზობელთა ურთიერთპატივისცემისა და სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის მოვალეობა.

სამეწარმეო თავისუფლება კონსტიტუციით აღიარებული ღირებულებაა, სასტუმროს ფუნქციონირება კი მესაკუთრის სურვილი, მიიღოს სარგებელი მისი საკუთრების გამოყენებით. მეზობლები ვერ მოითხოვენ სასტუმროს ფუნქციონირების ან იქ გამონვეული ხალხმრავლობის აკრძალვას ხმაურის მიზეზით რადგან მშენებლობის ნებართვით აშენებული ასეთი დანიშნულების ობიექტის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობაში ექცევა. მეზობლებს შეუძლიათ მეპატრონეს მოსთხოვონ ისეთი ხმაურის გაკონტროლება, რომლის დასაშვებ ნორმებში მოქცევაც შესაძლებელია. სასტუმროს სამაცივრე დანადგარი (ჰაერის კონდიციონერისთვის), რომელიც ღია სივრცეშია განთავსებული და 24 საათიან რეჟიმში მისი მუშაობით გამონვეული ხმაური დასაშვებ ნორმას აღემატება. სპეციალური ხმის დამცავი მასალით შეფუთვის ან სხვა ადგილზე გადატანით დასაშვებ ნორმებში მომდინარე ხმაური ჩაითვლება უმნიშვნელოდ ხელყოფად და სამეზობლო თმენის ვალდებულების ფარგლებში ექცევა.¹¹

წინამდებარე სასამართლო პრაქტიკის მაგილითი სსკ 175-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის ნორმატიული შინაარსის მქონეა. სამეზობლო თმენის ვალდებულების პირობებში მესაკუთრე ვალდებულია ითმინოს მეზობლად მდებარე ობიექტის ფუნქციონირება, სასტუმროს ნორმალური საქმიანობიდან გამომდინარეობს ხალხმრავლობა, სამაცივრე დანადგარის ხმაური (ზღვრულად დაშვებულ ფარგლებში) და აქედან გამომდინარე ზემოქმედებანი თმენის ვალდებულებას დაექვემდებარება.

განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილი გულისხმობს კომპენსაციის გადახდის აუცილებლობას იმ შემთხვევის დროს როცა ზემოქმედება აღემატება ასეთი ადგილისთვის ჩვეულებად მიჩნეულ სარგებლობასა და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს. მეზობელის თმენის ვალდებულება ამ დროს უნდა კომპენსირდეს გარკვეული ფულადი თანხით. რა შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად დასაშვები ფარგლების გადამეტებად ეს კონკრეტულ საქმეში ინდივიდუალური განხილვის საგანია.

¹¹ სუსგ #ას-122-116-2014 2015 წლის 25 მაისი

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მეზობლის სახლში დამონტაჟებული წისქვილის მოშორებით გადატანას ან ყოველთვიურად ფუნქციონირების თმენის სანაცვლოდ 510 ლარის ოდენობით ფულადი კომპენსაციის გადახდის დაკისრებას. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაიტანა დანადგარები სხვა ოთახში, ხმაურის შემცირების მიზნით უზრუნველყო ფანჯრის ამოშენება და კარის იზოლაცია. მოსარჩელის განცხადებით გადატანის მიუხედავად მაინც ნუხდებოდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კომპენსაციის დაკისრებას ითხოვდა. ექსპერტის მიერ დადგინდა რა ხმაურის სანიტარული წესებით დადგენილზე ბევრად დაბალი მაჩვენებელი, სასამართლომ თანხის დაკისრების მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და ჩათვალა, რომ უმნიშვნელო ხმაური სამეზობლო თმენის ვალდებულების ფარგლებში ექცეოდა.¹²

ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა დღის განმავლობაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება, აეროპორტისა და რკინიგზის ფუნქციონირება, ეკლესიაში მსახურების ჩატარებისას ზარების რეკვა და სხვა. ჩამოთვლილ შემთხვევებში ნორმალურ საქმიანობათა წრეში მათი მოქცევით წარმოიშობა თმენის ვალდებულება, რაც გამორიცხავს 175-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლებას.

საინტერესოა დაბალი სართულიანობის კორპუსის გვერდით მაღალსართულიანი საცხოვრებლის მშენებლობის საკითხი, რომელიც მეზობელს ხედს უსპობს. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელით მოითხოვა ზიანის ანაზღაურება და ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა რომ მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთზე აშენებულმა თხუთმეტსართულიანმა კორპუსმა მას ხედი მოუსპო, თავის დროზე ბინის შექმნა კი განაპირობა დიდმა აივანმა და ქალაქის ლამაზმა ხედმა. კორპუსის მშენებლობამ მის საკუთრებას დაუკარგა ღირებულება, რის სანაცვლოდაც ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას 32 553 ლარის ოდენობით. სასამართლომ განმარტა, რომ მოთხოვნა გამომდინარეობდა სსკ 992 მუხლიდან, დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოპასუხე სამშენებლო კომპანიას მშენებლობის ნებართვა მოპოვებული ქონდა რა სამშენებლო ნორმების დაცვით სასამართლომ ხედის მოსპობა ვერ მიიჩნია მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებად. მიუხედავად წარდგენილი სააუდიტორო დასკვნისა, სადაც ქონების ღირებულების შემცირება დასტურდებოდა სასამართლომ ნებართვის კანონიერებას გაუსვა ხაზი და ზიანის ოდენობაზე საუბარი მეორეხარისხოვნად მიიჩნია. მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მოპასუხის მხრიდან მის საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი გამოყენება, რაც აღემატებოდა ჩვეულებად მიჩნეულ ფარგლებს რაც წარმოუშობდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას რომ ზემოქმედება

¹² სუსგ #ას-4-315-04 2004 წლის 10 ივნისი

მნიშვნელოვნად ხელყოფდა მის უფლებას, ხელს უშლიდა თავისი საკუთრებით სარგებლობაში.¹³

თავი III

ხმაურის სახეები და მისი ზღვრულად დასაშვები ფარგლები

ხმაურის ხანგრძლივი და ინტენსიური მოქმედების შედეგად ადამიანის ორგანიზმში გარკვეული ცვლილებები ვითარდება. ესენია სმენის ფუნქციის დაზიანება, სმენითი მგრძობელობისა და სმენის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა, ყურადღების ფუნქციის დაქვეითება, ძილის რეჟიმის დარღვევა, მოქანცვისა და გაღიზიანებადობის გაზრდა და სხვა.¹⁴ წინამდებარე ქვეთავში განხილული იქნება აკუსტიკური ხმაური, სამუშაო ადგილიდან მომავალი ხმაური და საკანონმდებლო ინიციატივა მანქანების ხმაურთან დაკავშირებით, რომელმაც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მოწონება ვერ დაიმსახურა.

3.1 აკუსტიკური ხმაური

უახლესი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისგან ადამიანების დასაცავად იქნა მიღებული 2017 წლის 15 აგვისტოს ტექნიკური რეგლამენტი,¹⁵ დადგინდა აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებსა და განაშენიანების ტერიტორიაზე, სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი მუხლების შემოტანით კი მუნიციპალიტეტს საშუალება მიეცა რეაგირება მოახდინოს გადაჭარბებულ ხმაურზე. რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება:

- დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე;

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/22132-17, 2018 წლის 19 ივნისი

¹⁴ <http://ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=1d95ccab-2bb1-48a0-bc1d-fb2ab7954aee>

¹⁵ „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/ საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი 2017 წლის 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #398 დადგენილება

- საავიაციო სარკინიგზო (მათ შორის მეტროპოლიტენის) საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე;
- კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებულ ადამიანის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე;
- ღამის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო ღონისძიებებზე;
- საღმრთო მსახურების ჩატარებაზე სხვადასხვა რელიგიურ წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დროს გამართულ აქტივობებზე.

კანონის მიზნებისთვის აკუსტიკური ხმაური განიმარტება როგორც ყველა სახის განგრძობადი ხასიათის არასასიამოვნო ხელისშემშლელი ბგერები, ღრეკადი რხევები და ტალღები საჰაერო გარემოში, რომლებიც მომდინარეობენ ფიზიკური და იურიდიული პირის ქმედების შედეგად და ქმნიან დისკომფორტს. ხმაურის სახეებია ტონალური, იმპულსური, მუდმივი, არამუდმივი და ფონური.¹⁶ თითოეული ერთმანეთისგან დეციბალების სიდიდითა და ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავდება. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ასკ-ის 77¹ და 77² მუხლებით უფლებამოსილნი არიან დააჯარიმონ სამართალდამრღვევი, ერთ შემთხვევაში ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების და მეორე შემთხვევაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადაშეცდებისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ინსპექციას როგორც ასკ-ს მუხლებით ასევე, საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამსახურის შიდა დებულებით¹⁷ ხმაურის გადაჭარბების კონტროლის და შესაბამისი ფაქტებზე სამართალდამრღვევის დაჯარიმების უფლება აქვთ. ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება იწვევს სანქციას, ჯარიმის თანხა ორმაგდება თუ იგივე ქმედებას პირი ჩაიდენს მეორედ, ერთი წლის განმავლობაში. რეგლამენტის მიზნებისთვის ღამის საათებში იგულისხმება დრო 23:00 საათიდან 08:00 საათამდე. საგამონაკლისო შემთხვევაა პიროტექნიკით სარგებლობა სადღესასწაულო დღეებში, რაც არ ითვალისწინებს დაჯარიმებას (ახალი წლის დღესასწაულზე, 26 მაისი და 9 აპრილი). რაც შეეხება აკუსტიკური ხმაურის ნორმის გადაჭარბებისათვის დადგენილ სანქციას, პირველი ეტაპი გაფრთხილებაა, ხოლო იგივე ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ფულადი თანხა.

¹⁶ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ სანიტარული ნორმები ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანების 2.1.8 ქვეპუნტის მე-5 თავი
¹⁷ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილება #28-94

3.2 ხმაურის ამკრძალავი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები

სსკ 175-ე მუხლის რეგულირების სფერო სამეზობლო ემისიებია და მათ შორისაა ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება. როცა მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომავალი აკუსტიკური ხმაურის შემთხვევაა სახეზე, რეგლამენტის მიზნებიდან გამომდინარე პირველ რიგში გასარკვევია ხომ არ ექვემდებარება ემისია უპირობო თმენის ვალდებულებას. კანონმდებელმა რეგლამენტის მოქმედება არ გაავრცელა სამუშაო ადგილიდან მომავალ ხმაურზე და ნორმირების ფარგლები კვლავ სანიტარულ ნორმებში¹⁸ დატოვა. სამუშაო ობიექტებიდან მომავალი ზემოქმედება ნეგატორული სასარჩელო დასჯის საგანს წარმოადგენს.

სსკ 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით თუ მესაკუთრეს მისი საკუთრებით სარგებლობაში ხელი ეშლის ჩამორთმევის გარეშე შეუძლია ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა სასამართლო წესით განახორციელოს. პრაქტიკა აჩვენებს რომ ნეგატორული სასარჩელო მოთხოვნა ხმაურის შემთხვევაში ორი მიმართულებით ვითარდება ერთი, როცა ითხოვენ სრულად ხმაურის აკრძალვას და მეორე - ზემოქმედების გამომწვევი სუბიექტის დავალდებულებას მოაქციოს ხმაურის დონე სანიტარული ნორმებით დადგენილ ფარგლებში. მეზობელთა ურთიერთპატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით დასაშვებ ზღვარს ქვემოთ მუსიკის მოსმენა საცხოვრებელ ბინაში სამეზობლო თმენის ვალდებულების ფარგლებშია და ვერ ჩაითვლება „ნორმალური სამეურნეო საქმიანობის“ გადაჭარბებად.

3.3 მანქანების ხმაური როგორც დერეგულირებული საკითხი საკანონმდებლო სივრცეში

მანქანების ხმაური საღამოს საათებში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით დერეგულირებულია. საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა ინიციატივა ასკ-ში ახალი მუხლის შეტანის თაობაზე, რომელიც საღამოს საათებში 23:00დან 08:00 საათამდე აკრძალავდა გაჩერებული მანქანის/მოტოციკლის დაძვრისას ძრავის მაქსიმალური სიმძლავრით დატვირთვას და საგზაო მოძრაობისათვის განკუთვნილ ადგილზე სპორტული შეჯიბრის გამართვას.¹⁹ საკანონმდებლო წინადადება განხილულ იქნა პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში, რომელმაც მხარი არ დაუჭირა კანონპროექტის მომზადებას იმ მიზეზით რომ ასკ-ს 125-

¹⁸ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ სანიტარული ნორმები ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანება

¹⁹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/203150?>

ე მუხლის 9² ნაწილი უკვე არეგულირებს ამ საკითხს და შესაბამისი სანქციაა კოდექსში გათვალისწინებული.²⁰

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის პოზიცია მანქანების ხმაურთან დაკავშირებულ საკანონმდებლო წინადადებაზე კანონპროექტის მომზადების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. კომიტეტის მითითება თითქოს ეს საკითხი უკვე რეგულირებულია ასკ-ში 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით არასწორია რადგან ნორმა ძრავის ხმაურის საკითხს არ არეგულირებს. აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ რომ „სატრანსპორტო საშუალების ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შექსიგნალიზაციით სარგებლობა“ დასჯადი, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს ჩვეულებრივ სიგნალს, ხოლო შექსიგნალიზაცია წარმოადგენს პოლიციის ან სასწრაფო დახმარების მანქანებზე დამონტაჟებულ მონწყობილობას. ასკ 125-ე მუხლის მე-6 ნაწილის გაანალიზებიდან გამომდინარე ნათელია რომ ავტომობილის მფლობელის ვალდებულება მაყუჩის მონტაჟის თაობაზე არ იკითხება და არც მანქანის/ მოტოციკლის ძრავის ხმაურიანად დაძვრა დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ არის დასჯადი.

3.4 სასამართლოს „ოქროს შუალედი“ ხმაურის აკრძალვასა და მენარმეობის თავისუფლებას შორის

სამუშაო ადგილებზე (გარდა რადიო, ტელე, კინო-სტუდიები, თეატრები, კინოდარბაზები საკონცერტო და სპორტული დარბაზები) წარმოქმნილი ხმაურის განსაზღვრის წესი ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანებითაა განერილი²¹. ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა მფლობელი მინის ნაკვეთიდან მომავალი ხმაურის გამო მესაკუთრეს ხელი ეშლება ქონებით სარგებლობაში და უფრო მეტიც, ასეთი მოქმედებით შეიძლება მის ჯანმრთელობას ზიანიც მიაღვეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გახილულ იქნა საქმე, სადაც სასტუმროს მეზობლად მცხოვრები მოსახლეობა ტემპერატურის მარეგულირებელი და საქვაბე დანადგარების მუშაობით გამოწვეული ხმაურის დონის შემცირებას ითხოვდა. სანიტარული ნორმების თანახმად საცხოვრებელ ოთახებში, საცხოვრებელ სათავსებში და საძინებელ სათავსებში ხმაურის დასაშვები დონე დღის 07:00 დან 22:00 საათამდე 55 დბ-ს, ხოლო 23:00 დან დღის 07:00 მდე 45 დბ-ს შეადგენს. ექსპერტიზამ იხელმძღვანელა აღნიშნული დანაწესით და დასაშვები ნორმების მნიშვნელოვნად გადაჭარბება დაადგინა. სასტუმროს მეპატრონე მიიჩნევდა რომ

²⁰ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/205491?>

²¹ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ სანიტარული ნორმები ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანება

ხმაურის ღონის დაწვევის მოთხოვნის დაკმაყოფილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა კონსტიტუციით დაცული და აღიარებული სიკეთის - თავისუფალ მენარმეობის საკითხს.

საქმებზე სასამართლომ განმარტა, რომ სამეზობლო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს მეზობლებს შორის ურთიერთსაინანაღმდეგო ინტერესებს, მართალია საკუთრება არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის სოციალური მოვლენა და მას საზოგადოებრივი ინტერესისთვის ანგარიშის განევა უხდება. სამეზობლო სამართლის ნორმები საკუთრების შემზღუდავი ნორმებია და როგორც კერძოსამართლებრივ, ისე საჯარო-სამართლებრივ ისეთ ნორმებს მოიცავს როგორცაა სამშენებლო, გარემოსდაცვითი, სანიტარული ნორმატიული აქტები. მეზობლების მიერ ურთიერთპატივისცემის ვალდებულებები სულ უფრო აქტუალური ხდება ვინაიდან ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სამეზობლო ზემოქმედების ისეთი წყაროები წარმოშვეს, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია და სხვა. ზემოქმედების მნიშვნელოვნება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად მისაღებია საშუალო ადამიანისთვის ფაქტობრივი ზემოქმედების სიძლიერე და ხანგრძლივობა. რადგან ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონეები სამუშაო ადგილებზე საზოგადოებრივ შენობებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე ნორმატიული აქტით პირდაპირაა განსაზღვრული. სწორედ ამ ზღვრული მაჩვენებლების შესაბამისი უნდა იყოს მენარმე სუბიექტის საქმიანობა. მეზობელს ნორმატიულად განერილი ზღვარის ქვემოთ ხმაურზე თმენის ვალდებულება აქვს სამეზობლო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, რადგან ვერ მოითხოვს სასტუმროს სამაცივრე დანადგარის მუშაობის სრულად შეწყვეტას.²²

განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული და სასამართლომ სრულად აკრძალა ხმაური საღამოს საათებში ერთ-ერთ საქმეში.²³ სარდაფში მოქმედი ღამის კლუბიდან მომავალი მუსიკის ხმაურით პირველ სართულზე მცხოვრებ მეზობლებს ხელი ეშლებოდა სრულფასოვნად ცხოვრებაში (ძილი). თავდაპირველად მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი იქნა კლუბის დახურვა, თუმცა შემდგომ მოთხოვნა დაზუსტდა და მუსიკის აკრძალვა მხოლოდ ღამის საათებს შეეხო. ექსპერტიზის დასკვნამ დაადასტურა ზღვრულად დაშვებული ფარგლების გადაჭარბება. კლუბის ფუნქციონირების სრულად შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ როგორც ფაქტობრივი ასევე, სამართლებრივი საფუძვლით მხარეთა მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საღამოს საათებში მუსიკის სრულად აკრძალვის არგუმენტად კი დასახელდა კლუბში ღამის საათებში ჩართული სიმღერა, როგორც არსებითი ხასიათის ზემოქმედება, რომელიც სარდაფის ჩვეულებრივი სარგებლობით არ იყო გამოწვეული.

²² სუსგ #ას-1034-2018 2018 წლის 16 ნოემბერი
²³ სუსგ #ას-576-547-2013 2013 წლის 29 ივლისი

განხილული სასამართლოს გადაწყვეტილებით სახეზეა სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვა, ღამის კლუბში სიმღერის აკრძალვა მისი ფუნქციონირების შეწყვეტას გულისხმობს. გაურკვეველია მოპასუხისთვის რატომ არ იქნა გათვალისწინებული სანიტარული ნორმებით დაწესებულ ზღვრულ მაჩვენებელთან მუსიკის ხმის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება და რატომ აიკრძალა სრულად 23:00 დან 08:00 საათამდე.

სამხრეთ კაროლინის უზენაესმა სასამართლომ 1963 წლის 25 მარტს განიხილა საქმე, სადაც მოსარჩელე ფიზიკური პირები უჩიოდნენ მაღაზიას, რომელიც მდებარეობდა მათი საცხოვრებლის პირველ სართულზე. მიზეზი იყო ის, რომ მაღაზიიდან მომდინარეობდა ხმაური, რაც ნორმალური ფუნქციონირების თანმდევი შედეგს წარმოადგენდა. მაღაზიას ყველა საჭირო ნებართვა ჰქონდა მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისგან მოპოვებული. ბიზნესის თავისუფლება და მშვიდ საცხოვრებელ გარემოში ცხოვრების უფლება ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა და მაღაზიიდან მომავალი ხმაური მცირემნიშვნელოვან შენუხებად მიიჩნია.²⁴

აღნიშნული საქმე ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როცა დაფიქსირდა სამეზობლო ემისიების ზემოქმედების, კერძოდ კი სამუშაო ადგილიდან მომავალი ხმაურის სასამართლო წესით აკრძალვის მოთხოვნა.

თავი IV

დაუშვებელი ხელყოფა და საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა როგორც საკუთრების დაცვის პრევენციული მექანიზმი

სსკ 170-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებულია საკუთრების უფლების არსი. „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელმწიფოებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. სსკ 174-ე მუხლი მეზობლად მიიჩნევს ყველა ნაკვეთს, საიდანაც შესაძლებელია ორმხრივი ზემოქმედება გამომდინარეობდეს. სამეზობლო ნორმების გამოსაყენებლად ზემოქმედების გამომწვევ ნაკვეთთან მომიჯნავედ მდებარეობის აუცილებლობა არ არის. მეზობელთა ურთიერთპატივისცემის პრინციპს საკმაოდ რთული მისია აკისრია. მეზობელთა ურთიერთპატივისცემა უნდა მულაგნდებოდეს თითოეულის მიერ საკუთარი ქონებით სარგებლობისას, კერძოდ კი პატივი სცეს სხვა მეზობლის უფლებას, პატივისცემა კი

²⁴ VINGET V WINN-DIXIE STORES, INC Supreme Court of South Carolina 25 march, 1963

შეიძლება საკუთარი ქონების შეზღუდულად სარგებლობაშიც გამოიხატოს. სამეზობლო თმენის ვალდებულება წარმოიშობა როგორც არსებითი, ისე არაარსებითი ზემოქმედებების შემთხვევაში, თუმცა იმ განსხვავებით რომ არსებითი ზემოქმედების დროს ჩვეულებრივი სარგებლობის და ეკონომიკურად დასაშვები ფარგლების გადამეტება კომპენსაციით ბალანსდება. დაუშვებელი ხელყოფის დროს მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე საფრთხე არც სამეზობლო ურთიერთპატივისცემისა და თმენის ვალდებულებას ექვემდებარება და კომპენსაციის მიღების საკითხიც არ დგას დღის წესრიგში. აქ უფრო რთულად გვაქვს საქმე, რადგან სახეზეა არა დისკომფორტის და შეწუხების ფაქტი, არამედ უფრო მეტი - რეალურად მომავალი საფრთხე. თითოეული ადამიანი ინდივიდია, თითოეულის აზროვნება და შეხედულებები კი განსხვავებული. სამართლის მოწესრიგების სფერო ვერ იქნება ინდივიდუალურ შეხედულებებზე დაფუძნებული და ესა თუ ის შემთხვევა ობიექტურად უნდა არსებობდეს. აშენების/ექსპლუატაციის აკრძალვის მოთხოვნა საკუთრების შეზღუდვის მკაცრი ფორმაა და უფლებაში ჩარევა ობიექტურად უნდა იყოს გამართლებული, შესაძლო საფრთხის მოსალოდნელობა კი ალბათობის მაღალი სტანდარტით დასაბუთებული.

სსკ 176-ე მუხლის თანახმად „მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნივთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.“ სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით ნაგებობა სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემაა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული.²⁵ მიწის ნაკვეთის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც ადამიანის ხელით არ არის შექმნილი ვერ იწოდება ნაგებობად.²⁶ მუხლი პრევენციული შინაარსის მატარებელია,²⁷ რადგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად, მის გამოსაყენებლად აუცილებელია ორივე პირობის კუმულატიურად არსებობა, სახეზე უნდა იყოს ნივთით სარგებლობის დაუშვებლად ხელყოფა და ფაქტის იმთავითვე აშკარაობა.²⁸ ხშირად სასამართლო პრაქტიკაში ექსპლუატაციის აკრძალვასთან ერთად დაყენებულია ნაგებობის დემონტაჟის მოთხოვნაც, ბუნებრივია ნაგებობის ექსპლოატაციის აკრძალვა უპირობოდ დემონტაჟს არ გულისხმობს და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა იკვეთებოდეს საკმარისია თუ არა მხოლოდ ფუნქციონირების შეწყვეტა. ასაშენებელი ობიექტის მიმართ აშენების აკრძალვის მოთხოვნა წარმოიშობა იმ დროიდან, როცა მოთხოვნის უფლების მქონე პირისათვის ასეთი მშენებლობის შესახებ გახდა ცნობილი. საფრთხის რეალურობის შემთხვევაში მის სრულად აშენებამდე გაირკვევა ნაგებობის ბედი და მშენებლისთვის დამდგარი ზიანიც ნაკლები მოცულობის იქნება.

²⁵ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებების შესახებ“ დადგენილება #57 2009 წლის 24 მარტი მუხლი 3, პუნქტი 47

²⁶ თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 2018,96

²⁷ იქვე

²⁸ ზარანდია თ. სანივთო სამართალი 2018,270

ხანდაზმულობი ვადის საკითხი სსკ 176-ე მუხლში არსებულ მოთხოვნის უფლებას ვერ დაუდგინდება, ისევე როგორც ნეგატორული სარჩელის შემთხვევაში, აშენების/ექსპლუატაციის აკრძალვის მოთხოვნა იარსებებს მანამ, სანამ საფრთხის მომდინარეობა აღმოიფხვრება.

საკუთრების უფლების შეზღუდვას სასამართლო პრაქტიკა მარტივად არ უყურებს. სსკ 176-ე მუხლით დაყენებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება საკმაოდ მყარ საფუძველს, არგუმენტებს და ფაქტობრივ გარემოებებს საჭიროებს. ამის დადასტურებაა გადწყვეტილება რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

განსახილველ საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა რომ მოპასუხემ კომერციული დანიშნულების ორი ობიექტი სამშენებლო ნებართვის საფუძველზე ააშენა მის კუთვნილ მიწაზე, რომლის მეზობლადაც ვადის გაზის მილი. მშენებლობის ნებართვა ისე გაიცა, რომ წარდგენილი არ ყოფილა გაზსადენი კომპანიის თანხმობა. მოსარჩელის განმარტებით შენობები მდებარეობდა მილსადენის დაცვის მესამე ზონაში, აქ მშენებლობის სანარმოებლად კი მოპასუხეს სჭირდებოდა კომპანიის რეკომენდაცია ან ტექნიკური პირობა, რომელიც მას არ მოუპოვებია. კომპანიის განმარტებით, რადგან გაზის მილი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს და ნებართვის გაცემის ეტაპზე სამშენებლო კანონმდებლობით მოთხოვნილი არც რეკომენდაცია და არც ტექნიკური პირობა არ იქნა ადმინისტრაციული წარმოების დროს მოპოვებული, უნდა მოხდეს შენობის დემონტაჟი. სასამართლომ გამოარკვია რომ მაგისტრალური მილსადენის დაცვის ზონაში მშენებლობა არაა აკრძალული და დასაშვებია ოპერატორის რეკომენდაციის ან ტექნიკური პირობის საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნით მილსადენს საფრთხე არ ექმნებოდა კომერციული ფართის ფუნქციონირებით და ვერც მოსარჩელემ დაასაბუთა ექსპლოატაციის აკრძალვის კონკრეტული საფუძველი. სასამართლომ სსკ 176-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ ნაგებობის ექსპლოატაციის აკრძალვის საფუძველი მისგან მომდინარე საფრთხეა და რადგან საფრთხე ვერ დადგინდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ის რომ გაზსადენი მომეტებული საფრთხის წყაროა და რაიმე ავარიის შემთხვევაში მოსარჩელეს დაეკისრება მოპასუხის ქონებისთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდა სასამართლოს მიერ არ იქნა მყარ არგუმენტად მიჩნეული. მომეტებული საფრთხის წყაროს დასაცავად განერილია სპეციალური წესები და დაცვის ზონები. იმის გათვალისწინებით რომ სფეროს მარგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტით მე-3 ზონაში არ იყო აკრძალული მშენებლობა და შენობის აშენებისას რაიმე სპეციალური ტექნიკური პირობის დარღვევაზე მოსარჩელემ ვერ მიუთითა, სასარჩელო მოთხოვნა ნაგებობის ექსპლოატაციის აკრძალვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.²⁹

²⁹ სუსგ #ას-526-500-2013 2013 წლის 29 ოქტომბერი

განხილული სასამართლო საქმიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხი. შემთხვევა წესრიგდება სამეზობლო ურთიერთობის ნორმებით და მიუხედავად მოსარჩელის განცხადებისა რომ გაზის მილისთვის კომერციული ფართი საფრთხეს წარმოადგენს, არც ექსპერტის დასკვნით და არც მის მიერ წარდგენილი რაიმე ტექნიკური პირობის დარღვევით არ დადასტურდა. კომპანიამ ვერ უზრუნველყო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, მხოლოდ ის ფაქტი რომ გაზსადენი მომეტებული საფრთხის ობიექტია და ნაგებობა მესამე ზონაში მდებარეობს მისი ექსპლოატაციითვის აკრძალვის მყარ საფუძვლად არ იქნა მიჩნეული.

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ ავტოგასამართ კომპლექსთან დაკავშირებითაც. მოსარჩელე ითხოვდა მომიჯნავედ მდებარე ავტოგასამართი სადგურის დემონტაჟს იმ დასაბუთებით რომ ნაგებობა მისი ოჯახისა და ქონებისთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა. ექსპერტიზის მიერ ჩატარებული კვლევით მოსარჩელის საკუთრებასა და ავტოგასამართ სადგურს შორის არსებული დაშორება ასეთი ნაგებობისთვის დამტკიცებულ უსაფრთხოების წესებთან სრულ შესაბამისობაში იყო, კერძოდ უმცირესი მანძილი რეგერეუარიდან მოსარჩელის სახლამდე უნდა ყოფილიყო 15 მეტრი და იყო 29.6 მეტრი. სასამართლო დაუშვებლად ხელყოფის ფაქტის არარსებობა 15 მეტრიანი საფრთხის ზონის დაცვას დააყრდნო და აღნიშნა რომ საკასაციო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია სასამართლოსთვის მეზობელი მიწის ნაკვეთზე განთავსებული სადავო ნაგებობიდან ისეთი ზემოქმედების მომდინარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ზემოქმედებას და მის გადაჭარბებას დასაშვებ ფარგლებთან. თუ მოსარჩელე ასეთს წარმოადგენდა მისი მოთხოვნა ნაცვლად ექსპლუატაციის აკრძალვისა თმენის ვალდებულებისთვის დაწესებული კომპენსაციის გადახდა უნდა ყოფილიყო. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კი განიმარტა რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო სამოქალაქო მატერიალურ და საპროცესო სამართალში აღიარებული მტკიცები ტვირთის სტანდარტის გათვალისწინებით სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც მხოლოდ იმას კი არ დაადასტურებდა რომ ავტოგასამართი კომპლექსი საფრთხის შემცველია, არამედ დაამტკიცებდა სადავო ნაგებობიდან მომდინარე ზემოქმედების არსებობას.³⁰

მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოს მიერ შეფასდა დაუშვებელ ხელყოფად და დაკმაყოფილდა სხვა საქმეში. მოსარჩელეს მოპოვებული ქონდა რა მის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა, მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთზე დაიწყო სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობა. სასამართლოს მიერ დადგინდა რომ ნაცვლად 6 დან 15 მეტრამდე დაშორებისა მხოლოდ 60 სმ-ით იყო ქვესადგური მეზობლის ნაკვეთისგან დაშორებული, რაც

³⁰ სუს #ას-413-396-2016 2016 წლის 15 ივლისი

ტექნიკური ნორმების დარღვევას წარმოადგენდა და დაევალა მოჰასუხეს 6 მეტრის დაშორებით განეთავსებინა ქვესადგური³¹

შენობის ჩამოქცევის საფრთხესთან მიმართებაში აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვის ძირითად მუხლებთან ერთად კომბინაციაში იქნეს განხილული სსკ 179-ე მუხლი .

სსკ 170-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ერთის მხრივ მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს ან არ ისარგებლოს ქონებით და მეორეს მხრივ, საზოგადოების ინტერესების დასაცავად კანონით შეიძლება დაწესდეს შენახვისა და მოვლის ვალდებულება. სწორედ კანონით დაწესებული მოვლის ვალდებულების ერთ-ერთი შემთხვევაა განმარტებული სსკ 177-ე მუხლით, სადაც შენობის ჩამოქცევის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა მესაკუთრე სარგებლობს თუ არა ამ ნივთით, მეზობელს უფლება აქვს მოითხოვოს შენობის ჩამოქცევის საფრთხის აღკვეთა. მეზობელი ნაკვეთი ამ მუხლის გაგებით არის არა უშუალოდ მოსაზღვრე ნაკვეთი, არამედ ყველა ის ნაკვეთი რომლებზეც საფრთხის გავრცელების დიდი ალბათობაა. ³² სსკ 176-ე მუხლის მსგავსად სსკ 177 მუხლი პრევენციული ხასიათისაა, რადგან მოსალოდნელი შემთხვევის დადგომის აცილების მიზანს ემსახურება. მოთხოვნის მფლობელის მტკიცების ტვირთია დაამტკიცოს რომ საფრთხე რეალურია, მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ასევე იმ შემთხვევაშიც თუ ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების შედეგად გაუარესდა შენობის მდგომარეობა და ამან ჩამოქცევის რისკი გაზარდა ³³

უკვე დამდგარი ჩამოქცევის შემთხვევისას დელიქტური სამართლის ნორმები გამოიყენება. სსკ 1004 მუხლზე დაყრდნობით შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ჩამოქცევის ან ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად დამდგარი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ზიანი გამონვეული არ არის შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავარიული შენობების მდგრადობის საკითხი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. კანონმდებლობით მესაკუთრენი თავად არიან ვალდებული დაიცვან შენობის მდგრადობა, რათა უბედური შემთხვევის დადგომა გამოირიცხოს. ერთ-ერთი შემთხვევა მოხდა თბილისში აღმაშენებლის გამზირზე, სადაც კულტურის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობის ნაწილის ჩამონგრევით ქვეითად მოსიარულე დაშავდა. შემთხვევასთან დაკავშირებით თბილისის მერიამ განაცხადა რომ ფასადების მდგომარეობის მონიტორინგი მათ კომპეტენციაში არ შედის და ავარიული სახლებიდან მხოლოდ მოსახლეობის ალტერნატიული საცხოვრებელით უზრუნველყოფა შეუძლიათ. როგორც ავარიული სახლების, ასევე უკვე რეაბილიტირებული შენობების მდგრადობის საკითხი „ჰაერშია

³¹ სუსგ #ას-1038-1230-08 2009 წლის 24 მარტი

³² თოთლაძე ლ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი 2018, 99

³³ იქვე 100

გამოკიდებული“ და უდაოდ რეგულირებას მოითხოვს. რეაბილიტაციის შემდეგ შენობების მდგომარეობის აღწერა აღარ ხდება. გამოსავალი სფეროს დარეგულირებაა, სადაც როგორც სახელმწიფო ასევე ფიზიკური პირები იკისრებენ მათ წილ პასუხისმგებლობას და მინიმუმამდე დაიყვანენ ასეთი შემთხვევების დადგომის ალბათობას. ავარიული შენობების ნუსხა მუნიციპალიტეტს აქვს თუმცა ის არასრულია, შესაბამისი საექსპერტო სამუშაოების ჩატარებით დაიდება კონკრეტული შენობების მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ძალითაც მესაკუთრენი ვალდებული იქნებიან იზრუნონ არა მხოლოდ საკუთარი ბინის ინტერიერზე არამედ ექსტერიერზეც, რაც როგორც მაცხოვრებლებს ისე გამვლელებისთვის საფრთხის შემცველია.

თავი V

სამეზობლო საზღვრის დარღვევით გამოწვეული კომპენსაციის მიღების წესი და პირობები

მშენებლობის განხორციელებისას სამეზობლო საზღვრის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრის, ასევე მის მიერ დაქირავებული მშენებლის (მენარდის)

განზრახი ან გაუფროთხილებელი ქმედება. სსკ 179-ე მუხლის მიზნებისთვის სახეზე უნდა იყოს განზრახვის გარეშე დარღვევა, რომელიც ექვემდებარება ყოველწლიურ ფულად კომპენსაციას. თმენის ვალდებულების გამომრიცხავი გარემოება სახეზეა თუ გადაცდომის თაობაზე მეზობელი დროულად აცნობებს მშენებელს მაგრამ მისი მხრიდან გაფროთხილებას არანაირი რეაგირება არ მოჰყვება. განსახილველი მუხლის სამეზობლო ურთიერთობის თავში მონესრიგებით ბუნებრივია მისი განხილვა უნდა მოხდეს სსკ 170-ე, 175-ე, 172-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალიზის საფუძველზე. 179-ე მუხლი საკუთრების უფლების შემზღუდავი ერთ-ერთი ნორმაა, რომელიც განზრახვის გარეშე საზღვრის გადაცდენის შემთხვევაში გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ თმენის ვალდებულებას აკისრებს მესაკუთრეს. სამეზობლო თმენის ვალდებულება ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული, სახეზე არ უნდა იყოს მისი მფლობელისათვის სარგებლობის უფლების მნიშვნელოვანი შემზღუდავა. სწორედ ამიტომ სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ მცირე გადაცდომის შემთხვევაში აკისრებს თმენის ვალდებულებას მესაკუთრეს და სანაცვლოდ კომპენსაციას სთავაზობს. საინტერესოა საკითხი როცა გადაცდენა არა რამოდენიმე სანტიმეტრით არამედ საკმაოდ დიდი მოცულობით ხდება. გადაცდომის ფაქტის აშკარაობა ადასტურებს მშენებლის განზრახვას ზიანი მიაყენოს სხვას და პირადი მდგომარეობა გაიუმჯობესოს. მესაკუთრეს შეუძლია სსკ 172-ე მუხლის გამოყენებით მოსთხოვოს ნაგებობის დემონტაჟი³⁴ რათა აღიღვინოს დარღვეული უფლება.

საზღვრის დარღვევად ითვლება როგორც უშუალოდ შენობის გადასვლა სხვის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ასევე ის შემთხვევა როცა აივანი გადადის მეზობლის სივრცეში.³⁵ საინტერესოა ნივთის იმ ნაწილის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მეზობლის ნაკვეთზე მოხვდა. სსკ 179-ე მუხლი საზღვრის დარღვევით აშენებული შენობის გაყოფას დაუშვებლად მიიჩნევს³⁶ და ძირითადი შენობის მესაკუთრე ინარჩუნების საკუთრების უფლებას გადასულ ნაწილზეც.

სასამართლო პრაქტიკა

მოსარჩელემ სასაზღვრო მიწის დარღვევის მიზნით მოჰასუხეს მოსთხოვა ღია აივნის დემონტაჟი და ეზოებს შორის არსებული სასაზღვრო მიწის აღდგენა. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა რომ საზღვრის დარღვევის ფაქტს ადგილი ნამდვილად ჰქონდა და გადასვლა 13 სანტიმეტრით ფიქსირდებოდა. ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმად გამოყენებული იქნა სსკ 179-ე მუხლი და განიმარტა, რომ მოსარჩელემ მისი საკუთრების უფლება არ უნდა გამოიყენოს ბოროტად. გადაცდომის სიმცირის გათვალისწინებით სასამართლომ ჩათვალა რომ სახეზე იყო სამეზობლო

³⁴ ზარანდია თ. სანივთო სამართალი 2019, 273

³⁵ თოთლაძე ლ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 2018, 104

³⁶ იქვე 105

სამართლით განმტკიცებული თმენის ვალდებულების გამოყენების აუცილებლობა³⁷ და მოსარჩელეს უარი ეთქვა აივნის დემონტაჟის განხორციელებაზე.

თმენის ვალდებულებად მიიჩნია სასამართლომ საზღვრის დარღვევა კიდევ ორ საქმეში. ბენზინგასამართი სადგურის შეთანხმებული პროექტის შესაბამისად აშენების შემდეგ იგი გამოეყო დიდი მოცულობის მიწის ნაკვეთს და გასხვისდა. ახალმა მესაკუთრემ განაახლა ბენზინგასამართი სადგურის საზღვარი, რომელიც მართალია მგობლის საკუთრებაში იყო გადასული თუმცა შეთანხმებულ პროექტში იყო გათვალისწინებული და მისი უნებართვოდ აგება არ დგინდებოდა. საზღვრის აუცილებლობა მდგომარეობდა მიწის ნაკვეთების ზედაპირის დონეებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაში, რათა რეზერვუარები დაცული ყოფილიყო მგობელი ნაკვეთიდან. ნაგებობის მშენებლობის პროცესში მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს მოწინააღმდეგე მხარისათვის ასეთი დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მიუხედავად იმისა რომ დარღვეული საზღვარი განსხვავებით ცამეტი სანტიმეტრისა საკმაო ტერიტორიას წარმოადგენდა მშენებლობის პროცესში მოსარჩელის დუმილი მოპასუხის მშენებლობაზე სასამართლომ თანხმობად მიიჩნია, რითაც მოსარჩელეების საქმის სასამართლო განხილვისას წარმატების პერსპექტივა გამოირიცხა.³⁸

თავი VI

აუცილებელი გზა როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმი

6.1 სსკ 180-ე მუხლის რეგულირების სფერო

³⁷ სსკ #ას-161-489-05 2005 წლის 27 აპრილი

³⁸ სსკ #ას-142-138-2016 2016 წლის 28 ნოემბერი

სსკ 180-ე მუხლის რეგულირების სფეროს აუცილებელი გზის საკითხი წარმოადგენს. ისევე როგორც სამეზობლო სამართალში არსებული სხვა ნორმები (მაგ. საზღვრის გადაცდენა) აუცილებელი გზის უფლებაც საკუთრების კანონისმიერი შეზღუდვის ერთ-ერთი გამოვლინებაა. აუცილებელი გზის დადგენის საჭიროება შეიძლება წარმოიშვას თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისთვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, ელექტრო, ნავთობის გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან. საჯარო გზასთან დასაკავშირებელი მონაკვეთი გულისხმობს არა მხოლოდ ბილიკს ან საცალფეხო გზას, მხედველობაშია ასევე სამანქანე გზა.³⁹ მართალია სამეზობლო სამართალი მესაკუთრეს უდგენს გარკვეულ შეზღუდვებს, თუმცა ამის საპირინონედ ითვალისწინებს საკომპენსაციო თანხის გადახდის საკითხს. აუცილებელი გზის დადგენის შემთხვევაში, ისევე როგორც მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომავალი არსებითი ემისიის თმენისთვის (როცა აღემატება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას) გადახდილი უნდა იქნეს ფულადი კომპენსაცია რაც ანეიტრალებს მესაკუთრის საკუთრების შეზღუდვას. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე კომპენსაციასთან მიმართებით განმარტა თუ რაში მდგომარეობდა მისი სამართლიანობა. კერძოდ კი სამართლიანია კომპენსაცია თუ იგი უზრუნველყოფს საკუთრებაზე დაწესებული შეზღუდვის თმენისათვის გონივრულ ანაზღაურებას. აუცილებელია ანაზღაურება იყოს თმენის ექვივალენტური. საკუთრების უფლების მატერიალური ჩარევით გარდა ჩვეულებრივი სარგებლობის უფლების შეზღუდვისა შესაძლოა სახეზე იყოს უძრავი ქონების საფასურის საუარესოდ შეცვლა, რაც სწორედ კომპენსაციამ უნდა დააბალანსოს.⁴⁰ აუცილებელი გზის დადგენის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი თუ არსებული დაკავშირება ნაკვეთებს შორის გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა თმენის ვალდებულება და ვერც მეზობლის ნაკვეთის დატვირთვა იქნება გამართლებული, თვითნებური მოქმედების მაგალითს წარმოადგენს ხიდის დანგრევა, კედლის აღმართვა, ან სახლის აშენება.⁴¹

6.2. მსგავსება და განსხვავება აუცილებელი გზასა და სერვიტუტს შორის

აუცილებელი გზის შინაარსის გაგება მისი სერვიტუტთან შედარების გარეშე არ იქნება სრულყოფილი. ისევე როგორც აუცილებელი გზის შემთხვევაში, მიწის სერვიტუტთან მიმართებაშიც ერთმანეთთან კავშირშია ორი მიწის ნაკვეთი: ერთი დატვირთული -

³⁹ ზოიძე ბ. სანივთო სამართალი თბილისი 2003, 126

⁴⁰ სსს #28/2601-14 2014 წლის 9 სექტემბერი

⁴¹ ზოიძე ბ. სანივთო სამართალი თბილისი 2003, 128

„მომსახურე მიწის ნაკვეთი“ და მეორე მიწის ნაკვეთი, რომლის სასარგებლოდაც არსებობს დატვირთვა „გაბატონებული მიწის ნაკვეთი“.⁴²

სსკ 247-ე მუხლის შინაარსი, ისევე როგორც სსკ 180-ე მუხლისა ერთი ნაკვეთის მეორის სასარგებლოდ დატვირთვას გულისხმობს. აუცილებელი გზა სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლებას წარმოადგენს, რომელიც საკუთრების უფლების შემლუღვის კანონისმიერი (არასახელშეკრულებო) უფლებაა და გამოიყენება მეზობელი მესაკუთრის თანხმობის მიუხედავად. მეზობლის ნაკვეთის გამოყენება სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც, ანუ მეზობელ მესაკუთრესთან შეთანხმებით (სსკ 247-ე მუხლი სერვიტუტი). როცა არ გვაქვს მხარეთა ნების თანხვედრა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოხდეს პრობლემის გადაჭრა, მოსარჩელე უფლებამოსილია კანონისმიერი სერვიტუტის (აუცილებელი გზის) უფლების დადგენა სასამართლოსადმი მიმართვის გზით მოითხოვოს. სერვიტუტი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ სახედ, ესაა სახელშეკრულებო სერვიტუტი და კანონისმიერი სერვიტუტი. სახელშეკრულებო სერვიტუტი დგინდება მხარეთა ნების ავტონომიის პირობებში, როცა ერთი ნაკვეთის მესაკუთრე თანხმობას აცხადებს მისი ნაკვეთი სხვა ნაკვეთის სამსახურში ჩადგეს. სსკ 247-ე მუხლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება, კანონისმიერი სერვიტუტის მაგალითი - აუცილებელი გზის შემთხვევაა, სადაც ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარე მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს შორის ნების თანხვედრა არ არის, „კეთილმეზობლური თხოვნა“ არ ჭრის და სასამართლოსათვის მიმართვა უალტერნატივო გამოსავალია.⁴³ სასამართლოს მიერ აუცილებელი გზის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება ხომ არ ილახება მომსახურე მიწის ნაკვეთის მეპატრონის უფლებები ისე, რომ ფაქტიურად ეკარგება თავისი ნივთით სარგებლობის და დაიშნულებისამებრ გამოყენების უფლება.

6.3 აუცილებელი გზის პარამეტრების განსაზღვრისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი

მიწის ნაკვეთის დატვირთვა აუცილებელი გზით გულისხმობს ისეთი პარამეტრებით მის დადგენას, რომელიც სრულად აღუდგენს სარგებლის მიმღებ მესაკუთრეს ნაკვეთის თავისუფლად გამოყენების აუცილებელ პირობებს. რა მახასიათებლის უნდა იყოს აუცილებელი გზა თითოეულ საქმეში ინდივიდუალური განსაზღვრის საგანია. სამანქანე გზა შეიძლება იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი, ბუნებრივია მომსახურე მიწის გამოყენების მასშტაბები სხვადასხვა იქნება საფეხმავლო და სამანქანე გზის შემთხვევებში და კომპენსაციის ოდენობის დადგენისას გავლენას იქონიებს ოდენობაზე.

⁴² ჭეჭელაშვილი 8. სანივთო სამართალი თბილისი 2014, 371

⁴³ სუსგ #ას-1549-2018 2019 წლის 25 იანვარი

სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე პარამეტრებისა და ზუსტი მდებარეობის დასადგენა.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი აკეთებს იმ უფლებათა და ვალდებულებათა ჩამონათვალს რაც უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება, მათ შორისა სერვიტუტიც. რადგან აუცილებელი გზა „კანონისმიერი სერვიტუტია“ სასამართლო გადანაცვეტილება, როგორც მომსახურე ნაკვეთის შემზღუდავი აქტი აღსასრულებლად საჯარო რეესტრში რეგისტრაციას საჭიროებს. მიწის სერვიტუტი უფლების მფლობელს ეკუთვნის არა როგორც პირს, არამედ როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს⁴⁴. რეგისტრაციის სავალდებულობა მომდინარეობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობიდან რათა ახალ მესაკუთრეს შეეძინას წარმოდგენა როგორი უფლებრივი მდგომარეობის ნივთზეა საუბარი. აღნიშნული განპირობებულია იმით რომ მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში ახალ მესაკუთრეზე გადადის აუცილებელი გზის თმენის ვალდებულება და ამასთანავე საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის უფლებაც.

სამშენებლო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ თუ მესაკუთრეს სურს მიწის ნაკვეთის გამოყენება სამშენებლო მიზნებისთვის იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არსებული საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, რომელსაც დაუკავშირდება არანაკლებ ერთი მისასვლელი, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.⁴⁵ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები როცა მესაკუთრეს ეზღუდება უფლება შეათანხმოს ნებართვის გამცემ ორგანოში არქიტექტურული პროექტი სწორედ საჯარო გზასთან მინიმუმ ერთი გზის არარსებობის გამო. როცა მეზობელს არ სურს მის საკუთრებაზე შეზღუდვის დადება, მიზეზად კი საბაზრო ფასზე უარყოფით გავლენას ასახელებს, ერთადერთი გზა სასამართლო წესით მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. სამშენებლო ნორმები განასახელებს საფეხმავლო გზას (1.5 მ) ცალმხრივ სამანქანე გზას (3-3.5 მეტრი) და ორმხრივ სამანქანე გზას. ძირითადად ორმხრივი სამანქანე გზის დადგენა ხდება ქალაქებში, სადაც მოძრაობის ნაკადი დიდია და აუცილებელია ორმა მანქანამ ერთმანეთისთვის გზის აქცევა შეძლოს. ასეთი გზის სიგანე მინიმუმ 6 მეტრს უნდა აკმაყოფილებდეს.

6.4 გერმანული სამართლის მიდგომა აუცილებელი გზის დადგენასთან მიმართებაში

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 917-ე და 918-ე პარაგრაფებში მოცემულია აუცილებელი გზის დადგენის და ასეთი უფლებით სარგებლობის გამომრიცხავი ნორმები. 917-ე პარაგრაფს სურს უზრუნველყოს ნებისმიერი მიწის ნაკვეთის უფლება

⁴⁴ ჭეჭელაშვილი 8. სანივთო სამართალი თბილისი 2014, 371

⁴⁵ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

იქონიოს კავშირი საჯარო გზასთან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის თავად უშუალოდ არ ესაზღვრება ასეთ გზას.⁴⁶ თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს სათანადო გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობლებისაგან მოითხოვოს რომ ნაკლის აღმოფხვრამდე ითმინონ მათი მიწის ნაკვეთების გამოყენება აუცილებელი კავშირის დასადგენად. აუცილებელი გზის მიმართულება და სარგებლობის უფლების მოცულობა საჭიროების შემთხვევაში დგინდება სასამართლოს მიერ ⁴⁷.

აუცილებელი გზის დადგენის მოთხოვნის უფლებით სარგებლობს მხოლოდ მესაკუთრე და არა მფლობელი, გამორიცხულია მესაკუთრის თვითნებობის შედეგად გაუქმებული კავშირის შემთხვევაში დადგინდეს აუცილებელი გზა. აღნიშნული განერილია 918-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი იმ შემთხვევას ეხება, როცა მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შემთხვევაში მისი ერთი ნაწილი მონყვეტილი რჩება საჯარო გზას. განსახილველ შემთხვევაში გასხვისების შემდეგ მესაკუთრის შეცვლის მიუხედავად გზის გარეშე დარჩენილი ნაკვეთის მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს თავდაპირველი კავშირის აღდგენა, ახალი მესაკუთრე კი ვალდებულია ითმინოს აღნიშნული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აუცილებელი გზის დადგენის სანაცვლოდ ითვალისწინებს პერიოდულად გადასახდელ ფულად თანხას და მისი განსაზღვრის წესთან დაკავშირებით 912 -ე პარაგრაფის მე-2 წინადადებასთან, 913 და 916 პარაგრაფებში გვამისამართებს, საიდანაც ირკვევა, რომ თანხის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია დროზე, რამდენი ხნით ხდება ნაკვეთის დატვირთვა და მისით სარგებლობა, ასევე კომპენსაციის წინასწარ და ყოველწლიურად გადახდის ვალდებულება აკისრია სარგებლის მიმღებს.

6.5 სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი ახალციხის რაიონში კერძო მესაკუთრეების მიწაზე უნდა განხორციელდეს მოსაზრების მონტაჟი. კომპანიამ გარკვეულ ტერიტორიებზე მოიპოვა საკუთრების უფლება, თუმცა უწყვეტობის ჯაჭვის შესაქმნელად საჭირო იყო ყველა მესაკუთრესთან მოლაპარაკება. მოპასუხებმა უარი განაცხადეს გარიგების დადებაზე, რის მიზეზადაც კომპენსაციის არასაკმარისი ოდენობა დაასახელეს. მოპასუხეთა განმარტებით მათი საკუთრების უფლება არის აბსოლუტური უფლება და ნების სანაღმდეგოდ მოსარჩელეს არ შეეძლო უფლების შეზღუდვა. განსახილველ საქმეში საკასაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა იმ საკვანძო საკითხებს, რამაც საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა. დადგინდა გამოსაყენებელი

⁴⁶ ვოლფი/ველენჰორფი, სანივთო სამართალი თბილისი 2016, 698

⁴⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი იან კროპჰოლერი, თბილისი 2014, 694

ნორმები, ვინაიდან მხარეთა შორის ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება „სახელშეკრულებო სერვიტუტის“ თაობაზე, ერთადერთ გზას „კანონისმიერი სერვიტუტის“ სასამართლოს გზით დადგენა წარმოადგენდა. სსკ 180-ე მუხლის შინაარსი სწორედ იმ შემთხვევების რეგულაციაა როცა მიწის ნაკვეთი იზოლირებულია საჯარო გზისგან. მილსადენის პროექტის საერთაშორისო მასშტაბმა მინიშვნელოვანი როლი იქონია კომპანიის სასარგებლოდ დავის დასრულებასი. საერთაშორისო შეთანხმებით კერძო საკუთრების ჩამორთმევა გამართლებულია მხოლოდ სათანადო კომენსაციის გადახდის შემთხვევაში. საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კერძოდ კი მისი 4.1 მუხლით კომპანიას აქვს აბსოლიტური შეზღუდვა უფლება, პრივილეგია განახორციელოს და ადასრულოს პროექტი.⁴⁸ საკასაციო სასამართლომ აუცილებელი გზის უფლება მიანიჭა კომპანიას, თუმცა კომპენსაციის საკითზე არ იმსჯელა, რადგან მოქალაქეების ასეთი თანხის გადახდის დაკისრება მოთხოვნილი არ ქონიათ და სასამართლო ვერ მიანიჭებდა მხარეს იმას რაც მათ არ მოუთხოვია.⁴⁹

განხილული სასამართლო საქმის შედეგად მოპასუხეებმა არასაკმარისი თანხის ნაცვლად საერთოდ ვერ მიიღეს კომპენსაცია, რადგან ასეთი მოთხოვნის გაუფრება მათ მიერ სასამართლო განხილვისას არ მომხდარა. საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის განხორციელება სახელმწიფოს განვითარებისა და წინსვლის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. კერძო საკუთრების შეზღუდვის გარეშე წარმოუდგენელია მსხვილი მასშტაბის პროექტების ხორცშესხმაზე საუბარი. საკუთრების უფლება როგორც კანონით დაცული სფერო ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების წინაშე სწორედაც დაუცველი რჩება. მესაკუთრის უფლება „თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ნივთით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა“ უფრო აღმატებულ ღირებულებას - სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ენიშნება. კომპენსაციის გადახდის აუცილებლობა ის ერთადერთი ბერკეტია რაც საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის შეზღუდვის საპირწონედ ღვება და მინიმალურად აკმაყოფილებს მესაკუთრეს. კომპენსაციის მოკულობა ხშირ შემთხვევებში ძალიან დაბალია და სიმბოლურ თანხას შეადგენს. თუნდაც მიზერული თანხის გაღება თმენის სანაცვლოდ პირს არ უჩენს უსამართლობისა და სახელმწიფოს მიერ მისი კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლების დაუცველობის განცდას.

ქვეყანაში მიმდინარე მსხვილმასშტაბიანი პროექტებიდან თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის დაუსრულებლობა საჯარო და კერძო ინტერესებს შორის დაპირისპირების შედეგია. მოსახლეობის მიერ საკუთრების დათმობის სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხა სახელმწიფოს შეუსაბამოდ

⁴⁸ ზოიძე თ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 89

⁴⁹ სუსკ #1416-1548-04 2005 წლის 21 აპრილი

მიაჩნია, სამართლიანი ფასის გადახდა კი დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში მძიმე ტვირთად იქნა მიჩნეული, რომელზეც პასუხი მშენებლობის შეჩერებაა.

ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა - ნეგატორული სარჩელი

7.1 სსკ-ს 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულირების სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, უფრო დეტალურად კი სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებშია განმარტებული. სსკ 170-ე მუხლის შესაბამისად მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს რომ საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვის უფლებამოსილება აქვს მესაკუთრეს ან სხვა პირს, ვისაც უფლებამოსილი პირისგან, ანუ მესაკუთრისგან ექნება მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილება. ასეთი პირი შეიძლება იყოს მაგალითად დამქირავებელი, რომელიც უძრავი ნივთით სარგებლობს შესაბამისი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე და საცხოვრებლად იყენებს ქირავნობის საგანს.

სსკ-ს 172-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცულია მესაკუთრის ერთ-ერთი ძირითადი უფლება მოსთხოვოს მფლობელს მისი საკუთრების უკან დაბრუნება როცა მას არ გააჩნია ასეთი ნივთის ფლობის უფლება, ხოლო მეორე ნაწილით კი მიუხედავად მესაკუთრის მიერ საკუთრების ფლობისა იგი შეზღუდულია და ვერ ახორციელებს მასზე სრულ უფლებებს. წინამდებარე თავის განსახილველი საკითხი სსკ 172-ე მუხლის მეორე ნაწილით რეგულირებული ხელშეშლის მოქმედების აღკვეთის საკითხია.

სსკ 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა არის საკუთრების უფლების შინაარსის სანინააღმდეგო ჩარევა მესაკუთრის ფაქტობრივ ან სამართლებრივ უფლებამოსილებებში. ენობრივი თვალსაზრისით რთულია „ხელყოფისა“ და „ხელშეშლის“ გამიჯვნა და მას ნორმის გამოყენებისათვის არც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, საკუთრების ხელშეშლა გამონკვეული უნდა იყოს ადამიანის ქცევის შედეგად, ნორმის მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ ბუნებრივი მოვლენებით გამონკვეულ ხელშეშლის მდგომარეობაზე.⁵⁰

სსკ 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა არის ნეგატორული სარჩელის წარდგენის საფუძველი და სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას ადგენს არა რაიმე ახალ უფლებას (ანესებს, ცვლის, წყვეტს და სხვა) სადავო სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით, არამედ მოდავე სუბიექტთა

⁵⁰ თოთლაძე ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი 2018, 85

უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად ახდენს სამოქალაქო უფლების რეალიზაციის წესის სწორ განსაზღვრებას⁵¹. ნეგატორული სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას მხოლოდ მესაკუთრეს აძლევს კანონი, მიუხედავად იმისა ამავედროულად იგი ახორციელებს თუ არა მფლობელობას ამ ნივთზე. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნივთის მფლობელებს (დამქირავებელი, მოიჯარე) აქვთ მფლობელობის ხელყოფის მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის მიხედვით.⁵² სასამართლო პრაქტიკაში ნეგატორული სასარჩელო მოთხოვნები თითოეულ საქმეში ინდივიდუალურია და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე მოითხოვს სამართლებრივი დასკვნის გაკეთებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე ზემოქმედებების შესაძლო წრე იმდენად დიდია, კანონი ვერ განსაზღვრავდა მათ ზუსტ ჩამონათვალს და ამდენად, ზოგადი რეგულირების დაწესებით შემოიფარგლა. ხელშეშლის მოქმედების აღკვეთის მოთხოვნამდე დასადგენია კონკრეტული ემისია ექცევა სამეზობლო თმენის ვალდებულების ქვეშ თუ ნეგატორული სასარჩელო მოთხოვნის მყარ საფუძველს წარმოადგენს. როგორც ნაშრომში იქნა აღნიშნული იდეალური ემისია ეწოდება საკუთრების უფლების ისეთ ხელშეშლას, როდესაც ირღვევა მესაკუთრის მორალური ან ესთეტიკური შეგრძნება, ხოლო ნეგატიური ემისია ეწოდება სინათლის, მზის, შუქის, ჰაერის არასაკმარისი რაოდენობით მოქმედებას მიწის ნაკვეთზე⁵³.

ნეგატიური ემისიები სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად განიხილება. რა ხდება მაშინ, როცა მეზობელი მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობამ დაჩრდილა გვერდით მდებარე სახლი და მზის სხივები ვეღარ აღწევს. ცნობილია რომ მშენებლობის ნებართვის მოპოვება ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებში, რომელიც ზოგ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირია ზოგში კი მერიის სამსახური. სამართლებრივი ბუნებით ნებართვა აღმჭურველი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტია, რომელიც მიწის ნაკვეთზე მესაკუთრეს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს ანიჭებს კონკრეტული უფლების განხორციელების საშუალებას. ნებართვის კანონიერების განსახილველად აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე დავა უნდა წარიმართოს ადმინისტრაციული წესით, რაც გულისხმობს მშენებლობის ნებართვის გასაჩივრების ვადების დაცვის აუცილებლობას. აღნიშნული ვადა აითვლება პირისთვის ასეთი ნებართვის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. რაც შეეხება გასაჩივრებისას სასამართლოში საქმის პერსპექტიულობას აქ მნიშვნელოვანია დადგინდეს ასამენებელი ობიექტის არქიტექტურული პროექტი რამდენად პასუხობს სამშენებლო ნორმების მარეგულირებელი კანონმდებლობას. თუ მესაკუთრე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას სამშენებლო ნორმების სრული

⁵¹ სუსგ #ას-103-96-2017 2017 წლის 31 მარტი

⁵² თოთლაძე ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე თბილისი 2018, 85

⁵³ იქვე 86

დაცვით ახორციელებს (დაცულია სამეზობლო საზღვარი, სწორადაა განსაზღვრული შენობის სხივი და სხვა) და მაინც იჩრდილება გვერდითა მეზობლის საცხოვრებელი, მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობის ან შეჩერების საფუძველი მხარეს ერთმევა და დაჩრდილვით დამდგარი ზიანის მოთხოვნაც იკარგება. ზიანის ანაზღაურება დელიქტური სამართლის ნორმებით სსკ 992-ე მუხლის განსახილველი საკითხია, რომელიც გულისხმობს გარკვეული წინაპირობების არსებობის აუცილებლობას. მშენებლობის ნებართვის კანონიერების შემთხვევაში გამოირიცხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა, რადგან შენობა ყველა სამშენებლო ნორმის დაცვითაა აშენებული და ასეთი შენობის დაჩრდილვით მიღებული ზიანის საკითხი სსკ 992 მუხლით ვეღარ განიხილება.

ფრანგული სამართლის მიხედვით მესაკუთრე, რომელიც ინდივიდუალური სახლის დაპროექტებას დაუკვეთავს არქიტექტორს, მასთან ერთად მშენებელიც იღებს სოლიდარულ ვალდებულებას ხარისხიანად შეასრულონ საქმე. ვალდებულება გამოიხატება არქიტექტორის და მშენებლის პასუხისმგებლობაში 10 წლის განმავლობაში უფასოდ აღმოფხვრან ყველა ის ნაკლი, რაც შეიძლება არასწორი მშენებლობის ან დაპროექტების შედეგად იყოს გამოწვეული⁵⁴. სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს არანაირი გამოცდილების ან საგარანტიო თანხის არსებობის აუცილებლობა. მშენებლობის დასრულების შემდგომ ექსპლუატაციაში შესვლისას მოწმდება მხოლოდ ობიექტის შესაბამისობა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან რაც ვიზუალური იერსახის დაცვას გულისხმობს. რაც შეეხება მასალებს, რამდენად ხარისხიანი სამშენებლო მასალითაა აგებული და მდგრადობის კუთხით რამდენად უსაფრთხოა მცირე მიწისძვრის მიმართ ეს საკითხი დერეგულირებულია.

სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი სამეზობლო თმენის ვალდებულების ზოგად განმარტებას იძლევა, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით მიწის ნაკვეთის ან სხვა ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე მომავალი გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის კვამლის ხმაურის სიტბოს რყევების ან სხვა მსგავს მთვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ზემოქმედება არსებითია მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთის ჩვეულებრივი სარგებლობით. განსახილველ შემთხვევაში ერთი საცხოვრებელი სახლის გვერდით მეორე საცხოვრებელი სახლის აშენება ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ სარგებლობად და იმ პირობებში როცა მშენებლობის ნებართვა სამშენებლო ნორმების დაცვით აღმოჩნდება გაცემული, ხოლო მშენებლობა დამტკიცებული პროექტის შესაბამისად ნაწარმოები - მეზობელი სწორედ კანონისმიერი შეზღუდვით სამეზობლო თმენის ვალდებულებით იზღუდება.

⁵⁴ Christian H Kalin , International real estate handbook, 2005, 247

სამეზობლო სამართლის ნორმების მოქმედების სფერო არ ვრცელდება მხოლოდ უშუალოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე, სამეზობლო სამართლის ნორმები მოქმედებენ მაშინაც, როდესაც მაგალითად მიწის ნაკვეთებს არა აქვთ საერთო საზღვარი, ან ერთმანეთისაგან სხვაგვარად არიან დაშორებულნი.⁵⁵ უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოდიოდეს როგორც მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთიდან, ასევე გარკვეული მანძილის მოშორებით არსებული უძრავი ქონებიდან. ზიანის მომყენებელი პირის განსაზღვრისას კანონმდებელი არ გვზღუდავს სამეზობლო საზღვრის არსებობის აუცილებლობით, მთავარია დადგინდეს რომ მოშორებით მდებარე ნაკვეთიდან ობიექტურად შესაძლებელია ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უშლის მესაკუთრეს მფლობელობის მიუხედავად დაუბრკოლებლად ისარგებლოს მისი ქონებით. ამასთანავე, სამეზობლო სამართლის გამოყენების სფერო არ არის შეზღუდული მხოლოდ მიწის ზედაპირით, არამედ ვრცელდება ასევე მიწის ზედაპირის ზევით საჰაერო სივრცეზე და მიწის ქვეშ თუმცა მიწის მესაკუთრეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ისეთი ზემოქმედების აკრძალვა, რომლის გამოირიცხვის გონივრული ინტერესი მას არ აქვს⁵⁶. ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მესაკუთრეს, თუმცა მან ეს უფლება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს და ზემოქმედების აკრძალვის მოთხოვნისას გონივრული ინტერესი უნდა ამოძრავებდეს. სსკ 115-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით რომ სხვებს მიაღვს ზიანი. მაშინ როცა მოსარჩელე საკუთრების ხელშემშლის აკრძალვის მოთხოვნით სარჩელს აღძრავს სასამართლოში, ასაკრძალი ქმედება ობიექტურად აღქმადი უნდა იყოს და მისი შეწყვეტის მოთხოვნის მიზნობრიობა იკვეთებოდეს.

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული იქნა ერთ-ერთ საქმე, სადაც მოპასუხეს მის საცხოვრებელ სახლში მონყობილი ბუხრისა და საკვამლე მილისგან მომდინარე კვამლის გავრცელების გამო ედავებოდა მეზობელი. იგი აცხადებდა რომ კვამლი ვრცელდებოდა მის სახლში, რაც შეუძლებელს ხდიდა იქ ცხოვრებას, ამიტომ თვლიდა რომ ადგილი ჰქონდა საკუთრებით სარგებლობაში უკანონო ხელშემშლას და მისი აღკვეთის მიზნით ითხოვდა მოპასუხეს დავალებოდა სადავო მილის მოშლა და ისეთ ადგილას გადატანა, საიდანაც გამოირიცხებოდა კვამლის ზემოქმედების შესაძლებლობა. მოპასუხის მიერ წარდგენილ იქნა 1962 წლით დათარიღებული დაშენების გეგმა, სადაც ნახევრად დაშტრიხული აღნიშვნით გამოსახული წრე ნიშნავდა ლუმელს, რომელიც შემის ან ნახშირის მოხმარებისთვის იყო გათვალისწინებული. მოსარჩელის მიერ ჩატარებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით გაირკვა მხარეთა სახლების ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, ასევე მოპასუხის საცხოვრებელი სახლის სახურავზე არსებული სადავო მილის მონყობისა და სიმაღლის გათვალისწინებით მოსარჩელის საკუთრებაში კვამლის გავრცელება გაბატონებული

⁵⁵ ზარანდია თ. სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა თბილისი 2019, 264

⁵⁶ იქვე 265

ქარის პირობებშია შესაძლებელი. სასამართლომ მოპასუხის საკვამურიდან მხოლოდ გაბატონებული ქარის პირობებში მომდინარე ზემოქმედება არ ჩათვალა არსებითი ხასიათის ზემოქმედებად. სასამართლოს განმარტებით მტკიცების საგანში შედის არა მარტო მეზობელი ნაკვეთიდან კვამლის გავრცელების ფაქტი, არამედ უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს რამდენად არსებითია გავრცელებული კვამლის ზემოქმედება და რა ზიანს აყენებს იგი მოსარჩელეებს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლებზე დაყრდნობით და განმარტა, რომ კანონმდებელი მეზობელთა ურთიერთპატივისცემის მოვალეობიდან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნევს მეზობელი ნაკვეთიდან მომდინარე ზემოქმედებათა თმენას და ადგენს რომ მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის ორთქლის სუნის ჭვარტლის კვამლის ხმაურის სითბოს რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებებს. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება რომ მხოლოდ გაბატონებული ქარის პირობებშია მოსარჩელის საკუთრებაში კვამლის გავრცელების შესაძლებლობა, გაბატონებული ქარი არაა ყოველდღიური მოვლენა, ვერც დაკვამლიანებისგან დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის მტკიცებულებების წარდგენა შეძლო მხარემ. სასამართლომ გამოკვლეულ გარემოებებზე დაყრდნობით დაასკვნა რომ მოსარჩელეებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები რაც დადასტურებდა მოპასუხის სახლიდან მომავალი კვამლის მავნე ზემოქმედებას და საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ მოწმობს ამას.⁵⁷

7.2 ნეგატორული სარჩელის ხანდაზმულობა

ნეგატორული სარჩელით სასამართლოში მიმართვისას აუცილებელია დადგინდეს ხომ არ არის მოთხოვნა ხანდაზმული. სსკ 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსობრივი ანალიზით მოთხოვნა არსებობს მანამ, სანამ საკუთრებით სრულყოფილად სარგებლობის შეზღუდვაა სახეზე. ხელშეშლის აღმოფხვრასთან ერთად ქრება ნეგატორული სარჩელის საგანი. უზენაესმა სასამართლომ ნეგატორული სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით განმარტა „ნეგატორულ სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების აბსოლიტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ზომებს. მესაკუთრეს საკუთრების

⁵⁷ სუსგ #ას-859-910-2011 2011 წლის 3 ოქტომბერი

საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება, თუნდაც ხელშეშლა უსასრულოდ გრძელდებოდეს. ხელშეშლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია⁵⁸

ასევე საინტერესოა სასამართლო განხილვის რა ეტაპზეა შესაძლებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის დაყენება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებულია შემდეგი „ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს, სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური. სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას. ამასთან, ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი მხარის მითითების გარეშე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება.“⁵⁹

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი ნორმის ანალიზის საფუძველზე ნეგატორული სარჩელი შეიძლება აღძული იყოს მხოლოდ იმ დროს როცა პირს საკუთრებით სარგებლობაში მისი ჩამორთმევის გარეშე ეშლება ხელი და ხელშეშლის ფაქტი კვლავ გრძელდება. ხელშეშლის აღმოფხვრასთან ერთად მხარე კარგავს სარჩელის წარდგენის უფლებას. იმ შემთხვევაში თუ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას მოპასუხე სადავოდ არ გახდის სარჩელის ხანდაზმულობას, მეორე და მესამე ინსტანციაში მხარე შეზღუდულია მიუთითოს სარჩელის ხანდაზმულობაზე როგორც საქმის ახალ გარემოებაზე.

⁵⁸ სუსგ #ას-1041-998-2014 2014 წლის 12 თებერვალი

⁵⁹ სუსგ #ას-307-289-2014 2015 წლის 9 იანვარი

თავი VIII

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ჰაერის დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი საკითხები

8.1 იმისი მარეგულირებელი ძირითადი აქტები „შინ და გარეთ“

ინგლისისა და უელსის გარემოს დაცვის სამართალი იმ რეგულაციების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია ჰაერის, წლის და მიწის დამაბინძურებელი ემისიების წინააღმდეგ. გარემოს დაცვის სამართლის უპირველესი მიზანია არა აღმოფხვრას ყოველგვარი დაბინძურება (გარდა განსაკუთრებით საშიში დამბინძურებლებისა), არამედ მიაღწიოს ბალანსს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასა და ადამიანებისთვის ჯანსაღი გარემო საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებისათვის.⁶⁰

იმისიების დაცვის სამართალი გერმანულ კანონმდებლობასა და იურიდიულ დოგმატიკაში გულისხმობს ჰაერის დაცვას ისეთი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევისგან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს ცალკეულ კომპონენტებსა და სხვა ნივთიერ სიკეთეებს საფრთხეს უქმნის.“⁶¹

მე-20 საუკუნემდე მსოფლიო გარემოს დაცვის სამართალს არ იცნობდა, მისი შექმნის წინაპირობა მსოფლიო მასშტაბით დანყებულმა ინდუსტრიულმა ცვლილებებმა გამოიწვია. დღეის მდგომარეობით საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალი ათას ხუთასამდე ორმხრივ და ათასამდე მრავალმხრივ შეთანხმებას აერთიანებს. ამ შეთანხმებებში ერთიანდება დეკლარაციები, რეზოლუციები, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ძირითადად 1970 წლიდან დღემდე შეიქმნა.⁶²

2016 წლის 27 სექტემბრის მონაცემებით ყოველწლიურად დაახლოებით 6.5 მილიონი ადამიანი იღუპება ჰაერის დაბინძურების მიზეზით და მსოფლიო მოსახლეობის 92% იმ ადგილებში ცხოვრობს, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე რეკომენდირებულ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაიდლაინი ადგენს 2.5 მიკრომეტრზე ნაკლები დიამეტრის (p.m. 2.5) წვრილი ნაწილაკების (სულფატი ნიტრატები და ნახშირი) წლიური ექსპოზიციის ზღვარს. ეს ნაწილაკები ღრმად შედიან ფილტვებში და გულსისძარღვთა სიტემაში, რითიც ჯანმრთელობისადმი უდიდეს რისკს ქმნიან.⁶³

⁶⁰ Susan Wolf and Neil Stanley on environmental law, fourth edition 2011, 5-6

⁶¹ ყალიჩავა კ. გარემოსდაცვითი საქმიანობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე, თბილისი 2016, 57

⁶² Ved P. Nanda and George (Rock) Pring, International Environmental Law and Policy for the 21st century, 2nd revised edition, 2013, 6

⁶³ <http://ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=04514c33-6654-43bc-8fb0-70fd0f13d777>

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა მსოფლიოს განვითარებითაა გამოწვეული, რაც ქიმიური მრეწველობისა და სატრანსპორტო სფეროს გააქტიურების შედეგია. მას შემდეგ რაც მე-19 საუკუნის დასაწყისში მომრავლდა განცხადებები ქარხნების გახსნის ნებართვის გაცემის თაობაზე გერმანიამ და საფრანგეთმა პირველი ნაბიჯები გადადგა ემისიების საწინააღმდეგო საჯარო-სამართლებრივი ინსტრუმენტების შესამუშავებლად.⁶⁴

1998 წელს დანიაში, კერძოდ კი ორჰუსში „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია მიიღეს. აღნიშნული კონვენცია გარემოსთან მიმართებაში უზრუნველყოფს სამ მნიშვნელოვან პრინციპს - ესაა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. დოკუმენტით გარემოზე ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის აუცილებლობა მაშინაც კი უზრუნველყოფილია, როცა სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის გასაჯაროებას ეხება საქმე და ამან შეიძლება ნეგატიურ ზემოქმედება მოახდინოს საწარმოს ეკონომიკურ ინტერესებზე. მიდგომა რასაც კონვენცია მხარს უჭერს და აღიარებს არის ის, რომ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც გამოფრქვევას ეხება უცილობლად უნდა გამჟღავნდეს.⁶⁵ საქართველოში მისი რატიფიცირება 2001 წელს განხორციელდა, შესაბამისად ქვეყანამ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს კონვენციის პრინციპების არა მხოლოდ აღიარება, არამედ მისი დაცვა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ევროკავშირის 2004/35/EG დირექტივა ორჰუსის კონვენციით განმტკიცებული პრინციპის „დამბინძურებელი იხდის“ კიდევ ერთი აღიარებაა. მისი შემუშავება 1994 წელს დაიწყო, ბოლო ცვლილება კი 2009 წელს განხორციელდა. ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტარებს შორის დიდი დისკუსიის შედეგად გადანაწიდა რომ დირექტივის მოქმედება არ გავრცელდებოდა კერძო ხასიათის ზიანზე, რაც ისეთ ზიანს გულისხმობს როგორცაა კერძო საკუთრების დაზიანება (საგნობრივი ზიანი) ან ეკონომიკურ დანაკარგები (ქონებრივი ზიანი).⁶⁶ კომპენსაციის საკითხის გათვალისწინების მიუხედავად დირექტივამ ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობას დააკისრა კერძო პირებს შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხი.

⁶⁴ ყალიჩავა ვ. გარემოსდაცვითი საქმიანობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე, თბილისი 2016, 59

⁶⁵ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ მუხლი 4, პუნქტი 4. „დ“ ქვეპუნქტი

⁶⁶ ყალიჩავა ვ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი, 2018, 222

2013 წლის 29 ნოემბერს საქართველოსა და ევროკავშირის მიერ ხელმოწერილი ასოცირების⁶⁷ ხელშეკრულების მიზანია მოახდინოს ხელმომწერ მხარეებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე აყვანა. შეთანხმება ითვალისწინებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას, მათ შორის გარემოს დაცვის სფეროში და მეექვსე კარის მესამე თავითა და ოცდამეექვსე დანართით ითვალისწინებს კონკრეტულ საკითხებს. საქართველოს ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს მოქმედი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. მომზადებულია კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელსაც სრულიად ახალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმი შემოაქვს სამართლებრივ სივრცეში. პირი, რომელიც გარემოს ზიანს მიაყენებს ვალდებული იქნება გადაიხადოს არა თანხა, არამედ გაატაროს გარემოს აღსადგენად საჭირო გამასწორებელი ღონისძიებები წინასწარი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.⁶⁸ კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივასთან 2004/35/EG. ცვლილებების თანხმად პასუხისმგებლობის დაკისრება გამოირიცხება ისეთი ფიზიკური პირისთვის თუ მის მიერ მიყენებული ზიანი გამონეუელია პირადი არასამეწარმეო მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებით.⁶⁹ მომზადებული კანონპროექტი გარდა მიყენებული ზიანის აღსადგენად ზიანის მიმყენებლის მიერ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებისა რიგი ცვლილებების პაკეტს სთავაზობს გარემოს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტთა სივრცეს. მისი მიღების საჭიროება უდაოდ ნათელია, თუმცა პარლამენტში ჯერ მისი მოსმენა არ გამართულა.

იმისიის როგორც ტერმინის განმარტება ქართულ კანონმდებლობაში არ მოიძებნება, შინაარსის გათვალისწინებით კი ამ სფეროს მარეგულირებელი აქტები არც ისე მრავლადაა. სამაგისტრო ნაშრომში იმისიების შესახებ თავის განთავსების მიზანია ასეთი ზემოქმედებებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვა, როდის არის საკითხი კერძოსამართლებრივი განსჯის და როდის აღმინისტრაციული განხილვის საგანი. სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე რა მოთხოვნების წაყენების უფლება აქვს მეზობელ ფიზიკურ პირს საწარმოს, ქარხნის ან სახელმწიფოს მიმართ, რათა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჰაერის დაბინძურება თავიდან იქნეს აცილებული.

გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა განხილულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვითაც მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია მისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ, მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული იმ ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა

⁶⁷ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

⁶⁸ ყალიჩავა კ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი, 2018, 237

⁶⁹ http://moe.gov.ge/res/images/file-manager/garemosdacviti_pasukhismgeblobis_sajaro/122_04_2018.pdf

შეუსრულებლობამ, ასევე, სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის შესახებ გადაწყვეტილებების შეცვლა. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი განამტკიცებს ორჰუსის კონვენციასა და ევროკავშირის დირექტივებში აღიარებულ მნიშვნელოვან პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“, რაც გამოიხატება „საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებაში ანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი“.⁷⁰ გარემოსათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამრღვევს არ ათავისუფლებს ზიანის დადგენილი წესით და ოდენობით ანაზღაურებისგან. უფლებამოსილი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 10 წელია, რომლის ათვლა დაიწყება ასეთი უფლების წარმოშობის მომენტიდან. წარმოშობისათვის კი საჭიროა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსათვის ამ ფაქტისა და დამრღვევი პირის შესახებ ინფორმაციის შეტყობა.⁷¹

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს ატმოსფერული ჰაერის გარსს, თუმცა არა შენობა-ნაგებობაში არსებულ ჰაერს. აქტის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა შეიძლება მოხდეს როგორც მობილური ისე, დისპერსიული წყაროებისგან. მობილურ წყაროებში მოიაზრება სატრანსპორტო და მოძრავ-მექანიკური საშუალებები, დისპერსიულში კი სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად აუციელებელი აფეთქებები, ნაგავსაყრელების ექსპლოატაცია და სხვა.⁷²

ქართულ სამართლებრივ სივრცეში გარემოსთვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის ფორმები გათვალისწინებულია როგორც კერძო სამართლებრივ ასევე, საჯარო-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელია სამოქალაქო კოდექსში არსებული სამეზობლო ურთიერთობების და დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები. სამოქალაქო წესით როგორც სახელმწიფოს ასევე ფიზიკურ/იურიდიულ პირს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ კანონით ზიანის ანაზღაურება თუ ეს საშიში ნივთიერებების გაფრქვევის შედეგად დადგა. საჯარო სამართლებრივი წესით მოთხოვნა გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებულ ნორმათა გამოყენებას, ასევე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების წესით გარემოსათვის ზიანის მიყენების კომპენსაციას. დანვრილებით იხილეთ ქვემოთ შესაბამისი თავებში.

⁷⁰ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი მუხლი 5 „ე“ ქვეპუნქტი

⁷¹ იქვე, თავი XVI¹

⁷² „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავი

8.2 გარემოზე მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საფუძვლები

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57¹ მუხლის თანახმად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, პასუხისმგებლობის დაკისრება კი სამართალდარღვევის ჩამდენს არ ათავისუფლებს გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტზე დგება შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ზიანის გამოანგარიშების მეთოდის ან დედაქალაქის შემთხვევაში „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დგება ზიანის დაანგარიშების აქტი, სადაც მითითებულია ზიანის ოდენობა.⁷³

„გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 54-ე დადგენილებით და წარმოადგენს ტექნიკურ რეგლამენტს. აღნიშნული რეგლამენტის გათვალისწინებით შედგენილი ზიანის დაანგარიშების აქტი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნება სასამართლოს, რომელიც ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან ერთად განიხილავს გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკითხს. გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისას ხელმძღვანელობს სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლით, რომელიც ადგენს ჯარიმის დაკისრების ორ საფუძველს, ესენია 1) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის უქონლობა - ჯარიმა 500 ლარი 2) ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტება ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის ხმაურის ვიბრაციის ელექტრომაგნიტური ველები) გამო - ჯარიმა 500 დან 1000 ლარამდე ოდენობით. სასამართლო ამავე კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით ვალდებულია პირს დააკისროს ზიანის ანაზღაურება თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. მართალია ამ მუხლში არააფერია მითითებული „გარემოსათვის ზიანის მიყენებაზე“, მაგრამ

⁷³ ყალიჩავა კ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი 2018, 219

სასამართლოები მე-40 მუხლის მოთხოვნას უმეტეს შემთხვევაში გარემოსთან მიმართებითაც იყენებენ.⁷⁴

8.3 გარემოზე მიყენებული ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძვლები

ქართულ სამართალში გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების კერძო-სამართლებრივ წესთან მიმართებაში გვაქვს ორი განსხვავებული სამართლებრივი საფუძველი: 1) საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2) ზიანის სხვა შემთხვევები, რომლებიც არაა გამოწვეულის საშიში ნივთიერებებით და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით.⁷⁵

„საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საშიში ნივთიერებაა ელემენტი, რთული ნივთიერება ან ნაერთი მათ შორის ნავთობი ბუნებრივი გაზი და მისგან გამოყოფილი სხვა გაზები და ნივთიერებები (ბუნებრივი გადაუმუშავებელი რადიოაქტიური ნივთიერებების გარდა). გასათვალისწინებელია რომ აღნიშნული კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არაა სავალდებულო ბრალის არსებობა, მისი არსებობის გარეშეც შესაძლებელია ზიანის კომპენსაცია თუ ასეთი მოქმედებით დაზიანდა:

- ადამინის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;
- გარემო, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტები;
- ქონება და ეკონომიკური ინტერესები.⁷⁶

კანონონის ფარგლებში მოსარჩელე შესაძლოა იყოს როგორც სახელმწიფო (მაგ. გარემოზე მიყენებული ზიანის ფარგლებში), ისე კერძო, ფიზიკური (მაგ. ჯანმრთელობის დაზიანება) თუ იურიდიული პირი.⁷⁷

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას შეგვიძლია დავეყრდნოთ სსკ 992-ე მუხლს, ხოლო თმენის ვალდებულება და მისგან გამომდინარე კომპენსაციის საკითხი სსკ 175-ე მუხლითაა განსაზღვრული.

⁷⁴ იქვე 219

⁷⁵ ყალიჩავა კ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი 2018, 216

⁷⁶ იქვე 217

⁷⁷ „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი

სსკ 992-ე მუხლის თანახმად, პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაცენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სახელმწიფოს შემთხვევაში სახელმწიფოსთვის (გარემოსთვის) მიყენებული ზიანის ოდენობა დგინდება წინასწარ, ნორმატიულად განსაზღვრული მათემატიკური ფორმულებით, ხოლო კერძო პირების შემთხვევაში კი ზიანის ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, კერძო ავტონომიისა და მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე⁷⁸. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინ თუ კუმულატიურად გავაქვს შემდეგი წინაპირობები: სახეგა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, დამდგარია ზიანი, არის დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი, ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში. მოსარჩელის მტკიცების ტვირთია ამტკიცოს ზიანის დადგომის ფაქტი და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სასამართლო პრაქტიკაში ზიანის არსებობის დასადასტურებლად ერთ-ერთ მყარ მტკიცებულებას წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის გათვალისწინების ვალდებულება მართალია მოსამართლეს არ აქვს, თუმცა სპეციალური ცოდნის საჭიროების დროს გადანყვეტილების მიღების ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სსკ-ს 1008-ე მუხლით დადგენილია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა. როცა ქმედება არ შეიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ან გასულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ვადები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შედგენილი საქმე იხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.⁷⁹ (სსკ 992 მუხლი) თეორიული ნაწილის პრაქტიკული კუთხით გასააზრებლად უმჯობესია კონკრეტული მაგალითის საფუძველზე განხორციელდეს მსჯელობა. რუსთაველი მდებარე ლითონის გადამამუშავებელი ქარხანა და მისგან მომდინარე ემისიები/იმისიები ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალაქის მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სახეზე გვაქვს ერთის მხრივ კერძო საკუთრება და მენარმეობის თავისუფლება, ნებართვის დამდგენის მიერ გაცემული ლიცენზია ასეთი საქმიანობის განხორციელების თაობაზე და მეორეს მხრივ საწარმოადან მომავალი კვამლითა და მონამლული ჰაერით შეწუხებული მეზობლები. კონსტიტუციით აღიარებული ორი სამართლებრივი სიკეთის კონკურენციაა სახეზე, ერთის მხრივ მენარმეობის თავისუფლება და მეორეს მხრივ სახელმწიფო ვალდებულება უზრუნველყოს მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემო. საწარმო ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს საქმიანობას, ადმინისტრაციული წესით იგი დაჯარიმებული იქნა 2 ჯერ თუმცა ჰაერში მაგნე ნივთიერებების გაფრქვევის თავიდან ასაცილებლად საჭირო ფილტრებს არ იყენებს (საწარმოსთვის დამატებითი ხარჯია ძვირადღირებული ფილტრით სრულ სამუშაო გრაფიკში ფუნქციონირება). გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ფილტრების გარეშე მუშაობისათვის

⁷⁸ ყალიჩავა ვ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი 2018, 218

⁷⁹ ყალიჩავა ვ. გარემოს დაცვის სამართალი თბილისი 2018, 217

გარდა ჯარიმისა არ ყოფილა გამოყენებული მათთვის მინიჭებული უფლება კომპანიისთვის სასამართლო წესით ზარალის ანაზღაურების თაობაზე. თუ ასე 40-ე მუხლის ფარგლებში დაჯარიმებასთან ერთად არ განიხილება ზიანის საკითხი, სახელმწიფო დელიქტური სამართლის მუხლებით სამი წლის განმავლობაში ითხოვს დამბინძურებისგან ზიანის შესაბამის კომპენსაციას. რუსთავის მაგალითზე სახელმწიფოს მხრიდან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების არასრულად განხორციელების შედეგად გვაქვს რეალობა რომ დაჯარიმებული მენარმე აგრძელებს საქმიანობას. იმ შემთხვევაში თუ გარდა ჯარიმისა მის მიერ ასანაზღაურებელი გახდებოდა გარემოსთვის მიყენებული ზიანი ეს უბიძგებდა მას ფილტრების დაყვას რადგან იგივე თანხის გაღებისგან სამომავლოდ თავდაცვას შეეცდებოდა. წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ზიანის კომპენსაცია უნდა იქნეს მოთხოვნილი სსკ 992-ე მუხლზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ.

საინტერესოა ის შემთხვევა როცა ფიზიკური პირი მოითხოვს დელიქტური სამართლის ნორმებით დაბინძურებული ჰაერის სუნთქვით ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სახეზე გვაქვს გარემოსთვის მიყენებული პირდაპირი ზიანი და არაპირდაპირ, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შედეგად მოსარჩელისთვის მოსალოდნელი ზიანი. ამ შემთხვევაში პრევენციული კუთხით მოქალაქე ვერ იღავეს რადგან ჯერ არ დამდგარა ჰაერის დაბინძურების მიზეზით ჯანმრთელობის პრობლემები. რთულია მტკიცება პირობითად 1 წლის განმავლობაში დაბინძურებული ჰაერის მიზეზით რა ზიანი მიაღება მოსახლეობის ჯანმრთელობას, რადგან სხვა განმაპირობებელი ფაქტორებიც ჭარბადაა ჰაერთან ერთად კომბინაციაში. ამდენად კერძო პირებისთვის რთულია სარჩელის წარმატება სასამართლოში სსკ 992-ე მუხლით.

სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევის ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

მეზობელი ნაკვეთი არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ასეთად შეიძლება ჩაითვალოს უძრავი ქონება, თუ მისგან მომდინარე ზემოქმედება ვრცელდება არამომიჭნავე ნაკვეთებზეც. რუსთავის ქარხნის მაგალითზე თუ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, აქვს საქმიანობის ლიცენზია, საწარმოს მიერ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მაჩვენებელი არ აღემატება ოფიციალური ორგანოს მიერ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს, მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, რადგან საწარმოს ჩვეულებრივი სარგებლობითაა გამოწვეული. არსებითი ემისიის შემთხვევაშიც კი საწარმოს ზემოქმედება ექცევა სამეზობლო თმენის ვალდებულებაში

რადგან ნაკვეთის ჩვეულებრივი სარგებლობიდან გამომდინარეობს ასეთი ზემოქმედება. ფილტრების არ არსებობის პირობებში უფლების დაცვა სსკ 172-ე მუხლით იქნებოდა სწორი, მოთხოვნის საგანი კი არა საწარმოს ფუნქციონირების სრულად აკრძალვა, არამედ ფილტრები დამონტაჟების დავალდებულება რაც შეწყვეტდა კვამლის პრობლემას და მავნე ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევის დონეც ზღვრულ მაჩვენებლებში მოექცეოდა.

8.4 „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

სასამართლო პრაქტიკის საინტერესო მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნული საქმიდან რამდენიმე საკითხი ითხოვს ყურადღებას

საქმე ეხებოდა თბოელექტროსადგურის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების საჩივარს, რომლებიც ჰესის მუშაობის შედეგად დაბინძურებული ჰაერით მათთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ზიანის კომპენსაციას ითხოვდნენ.

საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ თბოელექტროსადგური ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ფუნქციონირებდა 1939 წლიდან, ხოლო მოქალაქეები სახელმწიფოს მიერ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში 1952 წლიდან ცხოვრობდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში კონვენცია 1999 წლის 20 მაისს შევიდა ძალაში და თბოელექტროსადგური 2001 წლის თებერვლის თვემდე მუშაობდა, ევროსასამართლომ ერთი წელი და რვა თვე საკმარის დროდ მიიჩნია მე-8 მუხლით დაცული სიკეთის დარღვევის საკითხის განსახილველად;

ექსპერტიზის დასკვნებით დარღვეული იყო საცხოვრებელ შენობასა და თბოელექტროსადგურს შორის დამორება (შეადგენდა 4 მეტრს და უნდა ყოფილიყო მინიმუმ 50 კვ.მ, ჰესის ბუნებრივი აირით სარგებლობის შემთხვევაში მინიმუმ 25 კვ.მ.), საკვამური ნაცვლად 27 მეტრისა უნდა ყოფილიყო 30.8 მეტრი, ასევე არ იყო აღჭურვილი იმ სპეციალური ფილტრებით, რომელიც მოსახლეობას დაიცავდა სახიფათო აირებისგან. ქარის მიმართულების გათვალისწინებით ემისიის მთელი გროვა აღწევდა სახლებში და ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა. ექსპერტიზა იქნა ჩატარებული ხმაურის დონესთან მიმართებაში და დასკვნით დადასტურდა კორპუსში დასაშვებ ზღვარზე ჭარბი ხმაურის ზემოქმედება.

სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის მიერ დადგინდა, რომ მოსარჩელეებს აღენიშნებოდათ ისეთი მავნე ფაქტორების კომბინირებული ზემოქმედება როგორცაა SO₂, NO, CO₂ ასევე შავი მტვერი, ხმაური და ელექტრომაგნიტური დაბინძურება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. სინდრომები რაც

ანუხებდათ იყო ასთენიური სინდრომი და ნევრასთენია, რომელთა გამომწვევი მიზეზი მავნე ფაქტორების ხანგრძლივი და კომბინირებული ზემოქმედება შესაძლოა ყოფილიყო.

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა. მომჩივნებმა განაცხადეს რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მათი დაცვა ჰაერის დაბინძურების, ასევე ხმაურისა და ელექტრომაგნიტური დაბინძურებისაგან, რომელიც გამოიყოფოდა მათი საცხოვრებლის უშუალო სიახლოვეს მდებარე თბოელექტროსადგურიდან. სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ ირღვევა გარემოს დაბინძურების ნებისმიერი შემთხვევის დადგომისას. კონვენციით არ არის განსაზღვრული უფლება სუფთა და მშვიდ გარემოზე, თუმცა როდესაც პირს პირდაპირ და მნიშვნელოვნად ადგება ზიანი ხმაურის ან სხვა დაბინძურებით, საკითხი კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილება. სასამართლომ ცალსახად აღიარა სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს საშიში საქმიანობების მიმართ შესასაბამისი რეგულაციების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ლიცენზიების გაცემას, მონყობას, ფუნქციონირებას უსაფრთხოებასა და საქმიანობის ზედამხედველობას, რაც გულისხმობს ყველა სუბიექტის ეფექტურ დაცვას იმ რისკებისგან რაც ასეთი საქმიანობისგან შეიძლება მომდინარეობდეს. მოსარჩელეებს მოთხოვნილი ქონდათ 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის თუმცა სასამართლომ 4 500 ევრო დააკმაყოფილა, ასევე დააკმაყოფილა ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა 3 848 ევროს ოდენობით.

აღნიშნულ საქმეს შეიძლება ეწოდოს პრეცედენტული იმ კუთხით, რომ სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას და უზრუნველყოს მისი მოქალაქეები უსაფრთხო გარემოს შექმნით არა ერთ საერთაშორისო აქტთან ერთად ევროსასამართლოს გადანყვეტილებითაც იქნა აღიარებული. დადგინდა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება⁸⁰. სახელმწიფოს მიერ კონტროლის მექანიზმის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მომეტებული საფრთხის წყაროს შემცველი ობიექტების ფუნქციონირების ზედამხედველობის საკითხში.

⁸⁰ ყალიჩავა კ. გარემოს დაცვის სამართალი 2018, 137

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ნაშრომში განხილული საკითხები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც საკანონმდებლო რეგულირების კუთხით პრობლემატურია. მესაკუთრე საკუთრების უფლების ფარგლებში თავისუფლად სარგებლობს ნივთით, თუმცა განხილული სამართლებრივი ნორმები კაუზალურად ასახავს შემთხვევებს რომლებიც საკუთრების შემზღუდავი წესებია. აქედან გამომდინარე გარკვეული ზემოქმედებები ექვემდებარება ან თმენის ვალდებულებას ან ხელშეშლის მოთხოვნის აკრძალვას.

1. სამეზობლო ემისია ესაა ყველა ის მოქმედება, რომელიც ერთი მიწის ნაკვეთიდან მეორე მიწის ნაკვეთზე შეიძლება გავრცელდეს. ასეთი მოქმედებები იყოფა არსებითი ან არაარსებითი ხასიათის ზემოქმედებებად. არაარსებითი ემისიის გავრცელება გამორიცხავს მესაკუთრის უფლებას მოსთხოვოს გამავრცელებელს ასეთი ზემოქმედების შეწყვეტა, არსებითის შემთხვევაში კი დასადგენია, ხომ არ ექვემდებარება სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე თმენის ვალდებულებას და შეუძლია თუ არა ასეთი თმენისთვის გარკვეული კომპენსაციის მიღება. ემისიის გავრცელება ყოველდღიური

ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამდენად მნიშვნელოვანია სწორად იქნეს მესაკუთრე ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ და სამეზობლო თემის ვალდებულების პირობებში გაირკვეს აქვს თუ არა მას უფლება მოითხოვოს არასასურველი ზემოქმედების შეწყვეტა.

2. ხმაურის ხანგრძლივი და ინტენსიური მოქმედების შედეგად ადმიანის ორგანიზმში გარკვეული ცვლილებები ვითარდება. ბოლო საკანონმდებლო რეგულაციით აკუსტიკური ხმაურის პრობლემა დარეგულირდა, თუმცა მანქანების ხმაური დღესაც დერეგულირებულია და აუცილებელია სწორი სამართლებრივი დასკვნის შედეგად იურიდიულმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ იმსჯელოს მანქანების ხმაურზე საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ კანონპროექტის მომზადებაზე.
3. ქართულ სამართლებრივ სივრცეში გარემოსთვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის ფორმები გათვალისწინებულია როგორც კერძო სამართლებრივ ასევე, საჯარო-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელია სამოქალაქო კოდექსში არსებული სამეზობლო ურთიერთობების და დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები. საჯარო სამართლებრივი წესით მოთხოვნა გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებულ ნორმათა გამოყენებას. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა როგორც კერძო-სამართლებრივ ასევე საჯარო-სამართლებრივ რეგულაციებზე, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მოთხოვნის სწორი ფორმირება და საქმისთვის წარმატების მომტანი სტრატეგიის განსაზღვრა ერთი მხრივ გარემოსთვის და მეორეს მხრივ მემზობლისთვის მიყენებული ზიანის კუთხით.
4. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავარიული შენობების მდგრადობის საკითხი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. კანონმდებლობით მესაკუთრენი თავად არიან ვალდებული დაიცვან შენობის მდგრადობა, რათა უბედური შემთხვევის დადგომა გამოირიცხოს. ამასთან მუნიციპალიტეტს მხოლოდ ავარიული შენობებიდან მოსახლეობის გაყვანის საკითხი ეხება. მართალია არსებობს ავარიული შენობების ნუსხა თუმცა იგი არასრულია. შევსების და ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა იზრუნოს როგორც ახლადრეაბილიტირებული შენობების მდგომარეობის შესაწავლაზე ასევე ძველი ავარიული სახლების სრულად აღრიცხვაზე. აღნიშნული საშუალებას მისცემს თვითმმართველობას მოსახლეობის კერძო მესაკუთრეებს იზრუნონ არა მხოლოდ ინტერიერზე არამედ, ექსტერიერზე და უსაფრთხოების კუთხით დაცული იყოს როგორც გამვლელი, ასევე ი მცხოვრები მოსახლეობა.

5. აუცილებელია საკუთრება ისე იქნეს გამოყენებული რომ არ იკვეთებოდეს მესაკუთრის მიზანი ამ სარგებლობით მხოლოდ სხვებს მიაღვეთ ზიანი. უფლების ბოროტად გამოყენების საეჭვოობისას მესაკუთრემ უნდა ამტკიცოს, რომ მას ასეთი განზრახვა არ გააჩნია და ხელშეშლის მოქმედების აკრძალვის მოთხოვნის აუცილებლობა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებითაა გამართლებული. აღნიშნული წარმოდგენს სსკ 172-ე მუხლის მეორე ნაწილის ძირითად არსს და სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით უნდა იქნეს ნეგატორული სარჩელი წარდგენილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი გზა სწორი საკანონმდებლო ცვლილებაა. აუცილებელია არგუმენტირებული იქნეს კონკრეტული პრობლემატური საკითხების რეგულირების აუცილებლობა, რათა არ მივიღოთ ქაოტური სამართლებრივი მონწესრიგების პირობები.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. სანივთო სამართალი, ბესარიონ ზოიძე, თბილისი, 2003
2. საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბილისი, 2013
3. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 2018
4. სანივთო სამართალი, ზარანდია თამარ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019
5. სანივთო სამართალი, ჭეჭელაშვილი ზურაბ, თბილისი, 2014
6. სანივთო სამართალი, ვოლფი/ველენჰორფი, თბილისი, 2016
7. გერმანიის სამოქალაქო სამართლის კომენტარი, იან კროჰჰოლერი, თბილისი, 2014
8. გარემოსდაცვითი საქმიანობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე, ყალიჩავა კობა, თბილისი, 2016
9. გარემოს დაცვის სამართალი, ყალიჩავა კობა, თბილისი, 2018

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Susan Wolf and Neil Stanley on environmental law, fourth edition 2011. Covendish publishing limited

უცხოენოვანი ჟურნალი:

1. Christian H Khalin , International real estate handbook, 2005, John Willy and Sons LTD
2. Ved P. Nanda and George (Rock) Pring, International Environmental Law and Policy for the 21st century, 2nd revised edition, 2013 Martinus Nijhoff publishers

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება:

- VINGET V WINN-DIXIE STORES, INC Supreme Court of South Carolina
25 march, 1963

პერიოდული გამოცემა:

- საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ზოიძე თამარ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
4. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი
5. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
6. „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონი
7. „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/ საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი
8. „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ სანიტარული ნორმები ჯანდაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/6 ბრძანება

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილება #28-94
10. „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება #297/6, 2001 წლის 16 აგვისტო
11. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 13 ოქტომბერი, 2017 წელი, სტრასბურგი

სასამართლოს გადაწყვეტილება:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-122-116-2014
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე # ას-4-315-04
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1034-2018
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-576-547-2013
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-526-500-2013
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-413-396-2016
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1038-1230-08
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-161-489-05
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-142-138-2016
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1549-2018
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1416-1548-04
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-103-96-2017
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-859-910-2011
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1041-998-2014
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-307-289-2014
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #2/22132-17
17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #2ბ/2601-14

ინტერნეტ ბმულები

1. <http://ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=1d95ccab-2bb1-48a0-bc1d-fb2ab7954aee>
2. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/203150?>
3. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/205491?>
4. <http://ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=04514c33-6654-43bc-8fb0-70fd0f13d777>
5. <http://ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=04514c33-6654-43bc-8fb0-70fd0f13d777>
6. http://moe.gov.ge/res/images/file-manager/garemosdacviti_pasukhismgeblobis_sajaro/122_04_2018.pdf

საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები

1. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)
2. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის 1988 წლის კონვენცია
3. Directive 2004/35/CE of the European Parliament and of the Council
4. ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია